საერთო გაზეთი

№19 (524) • 29 მაისი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

შავი მთვარის ჭამი და შავი კაცი, შავი სინდისით და შავი გულით

მთაწმინდელთა დიდი სირცხვილი იქნება მკვლელთა და „ტრუპების“ შემკვეთთა მეგობარი და ფავორიტი შალვა შავგულიძე მათი რჩეული გახდეს

აზერბაიჯანი და საქართველო ორივე ჩვენი სამშობლოა და თუ საჭირო იქნება, ორივეს შევეწირებით!

აჩრდილი დადის ევროკავშირში, აჩრდილი დიდი კატაკლიზმებისა

რამაზ საყვარელიძე:

შუალედურმა არჩევნებმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ქართველი ხალხისთვის „ნაცმოძრაობა“ მიუღებელია

ანზორ ჭითანავა:

რა არ იცის საქართველომ „ენგურჰესის“ შესახებ?

რაც „ენგურჰესი“ არსებობს, აფხაზეთს დენი უფასოდ მიეწოდება და ამის დაბრალება ბიძინა ივანიშვილისთვის დიდი უნამუსობაა!

ფსიქიატრიული საავადმყოფო „ენმ“

ბატონო ბიძინა, ერთი თხოვნა მაქვს თქვენთან: ავაშენოთ ერთი დიდი ფსიქიატრიული შენობა „ნაცებისთვის“, თავიანთი პარლამენტი თვითონ აირჩიონ, პრეზიდენტად მიშა სააკაშვილი დაისვან, პრემიერ-მინისტრად ნიკა მაჭუტაძე, უსაფრთხოების შეფად ელისტრაკო კილაძე, გენპროკურორად ნიკუტა გვარამია და იყონ ბედნიერად.

სახლების მფლობელი გევურქ-აღა, გვარად სააკაშვილი და საქართველოდან გაზიდული 17 მილიარდი, რომლითაც „ნაცები“ მომავალი სახელმწიფო გადატრიალების დაფინანსებას აპირებენ

შუალედურმა არჩევნებმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ქართველი ხალხისთვის „ნაცმოძრაობა“ მიუღებელია

გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:

— ბატონო რამაზ, წინა კვირას შუალედური არჩევნები ჩატარდა. როგორია თქვენი შეფასება?

— სანდრა რულოვსის არჩევნებში დამარცხება ბევრმა ფაქტორმა განაპირობა. ერთ-ერთი ფაქტორი გახლავთ თვად რულოვსის უტაქტო გამონათქვამები ზვიად გამსახურდიასა და მეგრელ ხალხთან დაკავშირებით. შესაბამისად, დიდი გაყალბების აუცილებლობა არც იყო იმიტომ, რომ რულოვსი არ გახლავთ ის პერსონა, რომელიც მეგრელებს იმაში დაარწმუნებდა, რომ მისი მერად არჩევა სამეგრელოს სიკეთეს მოუტანდა.

საკითხი ასე იდგა — „ქართული ოცნება“ თუ „ნაცმოძრაობა“? მიუხედავად იმისა, რომ „ქართულ ოცნებაზე“ გაბრაზებულნი არიან, „ნაცმოძრაობა“ არ უნდათ, რაც ამ უკანასკნელმა ვერაფრით გაიგო. თუმცა, „ქართული ოცნების“ მდგომარეობა სახეიმო არ არის. ხალხს არ აქვს განცდა, რომ „ქართული ოცნება“ პოლიტიკური სპექტრის უპირობო ფავორიტია. პირიქით, ძალიან კრიტიკულნი არიან. ამ კრიტიკულობამ მოიტანა ის, რომ ეს არჩევნები მოსახლეობის განწყობილებას არ ასახავდა.

— არჩევნებს დაემთხვა ენ-დი-აი-ს კვლევები, რაც შორს იყო რეალობისგან?

— ენ-დი-აი, საერთოდ, გაუგებარი ორგანიზაციაა. სრულიად გაუგებარია რატომ ატარებს ამ კვლევებს, რადგან აცდენა საკმაოდ დიდია და შედეგებსაც საზოგადოების განწყობაზე გავლენა არ აქვს. ასევე, გაუგებარია ქართული სინამდვილე რატომ იტანს ამ ორგანიზაციას. სხვაგან არსად ხდება, რომ უცხო ქვეყნის დაკვეთით სოციოლოგიური კვლევები ტარდებოდეს, თან საარჩევნო თემატიკასთან დაკავშირებით. ეს უკვე უთავმოყვარეობაც აღარ არის, არამედ დაუდევრობა საკუთარ სახელმწიფოებრიობასთან. მით უმეტეს, თუკი ატყობ, რომ ეს გამოკვლევები ტენდენციური, უხარისხოა, რატომ ტოვებ მოქალაქეებს ამ კვლევების ამარა და სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს რატომ უხსნი კარს, რომლებიც რა მოტივით ხელმძღვანელობენ, არავინ იცის.

— ახლა, ახსენეთ: ხალხს „ნაცმოძრაობა“ არ უნდაო. მაშინ რატომ ვინარჩუნებთ „ნაცებს“ როგორც პოლიტიკურ ძალას?

— მიუხედავად იმისა, რაც ჰიტლერმა წინა საუკუნის პირველ ნახევარში გააკეთა. თუკი ჰიტლერის შემთხვევაში არ არის გასაკვირი, რომ მისი მომხრეები დღესაც არსებობენ, რა გასაკვირია „ნაცმოძრაობასაც“ ჰყავდეს მხარდამჭერები.

ნებისმიერი რეჟიმი, მისი შეუფასებლობა, იდეოლოგიური თვალსაზრისით, ქვეყანაში სირთულეებს აჩენს. იმიტომ, რომ ადამიანები, ახალგაზრდობის დიდი ნაწილი, რომელმაც „ნაცების“ რეალურ სახეზე ბევრი არაფერი იცის, წარსულის იდეალიზაციას იწყებს, რაც ახლა, იგივე, ჰიტლერის რეჟიმთან დაკავშირებით ხდება. წარსულის იდეალიზაცია, როცა დეტალები უკვე აღარ ახსოვთ, მერე, შესაბამის იდეოლოგიას წარმოშობს. ეს იდეოლოგია, თუ მას არაფერი ებრძვის, აღდგება. „ნაცმოძრაობა“ კონკრეტულ პიროვნებებზე — სააკაშვილზე, მერაბიშვილზე კი არ უნდა დავიყვანოთ, არამედ შევაფასოთ როგორც სისტემა. თუკი ჩვენთვის ეს სისტემა მიუღებელია, მაშინ სულ ერთია ვინ იქნება მიშას როლის შემსრულებელი. მთავარია, ასეთი როლი არ უნდა არსებობდეს. თუ გვინდა დაუშვებელი იყოს ადამიანის ასეთი როლი, რომელსაც შეუძლია ყველა გასწორის და ნებისმიერ სიტუაციაში მორალს, ეთიკურ და იურიდიულ კანონებს გადააბიჯოს, მაშინ „ნაცმოძრაობის“ შეფასება უნდა მოხდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველთვის მოიძებნება რაღაც ჯგუფი, რომელიც იტყვის, რომ რაღაც კონკრეტული ღირებულება კანონზე მაღლა დგას.

— კანონები ახსენეთ. მუდმივად კანონის უზენაესობაზე ვსაუბრობთ, მაშინ ბოკერიას რა უნდა პარლამენტში. როდის უნდა გადავინაცვლოთ მოდელირებულიდან რეალურ სამყაროში?

— ის რაც ახლა მოგახსენეთ, გულისტკივილით ვთქვი, რადგან მეც მგონია, რომ ის არ ხდება, რაც უნდა ხდებოდეს. სწორი ნაბიჯების გადასადგმელად ფიქრია საჭირო. ამიტომ, კვლავ და კვლავ ვემხრობი იმას, რომ შეფასება გაკეთდეს. „ნაცმოძრაობის“ შეფასება რომ მომხდარიყო, დღეს ბოკერია აქტიური პოლიტიკური ფიგურა აღარ იქნებოდა. პიროვნულად ბოკერიას საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ თუ მისი პოლიტიკური მოღვაწეობა კრიტიკულად ფასდება, ეს უფრო გაბედულად, ომახიანად უნდა ითქვას. ახლა, უფრო ასეთი სტილია დამკვიდრებული: პოლიტიკურ მოღვაწეობაში კრიტიკულად ფასდება არა სისტემა, არამედ ერთადერთი პიროვნება — მიხეილ სააკაშვილი. თუ ასეთ დამოკიდებულებას შევინარჩუნებთ, სისტემის მიმართ ტოლერანტულნი ვიქნებით და მხოლოდ პიროვნებებზე გავაკეთებთ აქცენტს, სისტემა იმ პიროვნებებს წარმოშობს, რომელთაც სხვა სახელი და გვარი ექნებათ, მაგრამ იგივე სულისკვეთება. „ბოკერია“ თუ იარსებებს, მერე, პოლიტიკაში ადვილად გაჩნდება ისეთი ადამიანი, რომელიც ჩათვლის, რომ შეიძლება შევიდეს საკანში და მასზე იძალადოს, ვისაც მტრად ჩათვლის. კი ბატონო, მაშინ ვთქვათ, რომ ჩვენი ბრძოლა ეხება მარტო კონკრეტულ პიროვნებებს, კერძოდ, სააკაშვილს და არ ეხება მათ, ვინც მისი მმართველობის დროს ამ სისტემას ქმნიდა იგივე, მიშას დავალებით და ხელშეწყობით. რეალურად, ეს დამოკიდებულება გვაქვს.



— ამავე ლოგიკით შეგვიძლია ვიკითხოთ: რა უნდოდა მერობის კანდიდატად სანდრა რულოვს, იგიც ხომ ამ სისტემის ნაწილი, თანამონაწილეა?

— დიახ, თანამონაწილეა და გარდა ამისა, ეს ადამიანები დღესაც მის გვერდით დგანან. ნიკა მელიამ აღნიშნა: ამომრჩეველს ნუ ვაფრთხობთ და ნუ ვამბობთ, რომ პროცესი რევოლუციისკენ მიდისო. ამ მოტივს თუ არ გავითვალისწინებთ, გამოდის, რომ ეს პროცესი მართლა რევოლუციისკენ მიდის და გადატრიალების მცდელობა არის. გადატრიალების მცდელობა კი, რაც ნაწილობრივ, ძალადობას წარმოადგენს, უკვე დანაშაულია. რულოვსმა გამოაცხადა კიდეც: ამ ქვეყანაში არჩევნების ჩატარება არ შეიძლება. ასეთი განაცხადი სახელმწიფო დანაშაულია.ე.ი. ამით ადამიანებს ძალადობისკენ მოუწოდებ. არჩევნები არის ძალადობისგან ადამიანთა გადარჩენის საშუალება და ამბობ: არჩევნები არ შეიძლებაო, ე.ი. ერთადერთ საშუალებად ძალადობა გრჩება. აი, სწორედ ამ ძალადობას უწევს დღეს „ნაცმოძრაობა“ პროპაგანდას. ასე, რომ ეს არ არის მარტო წარსული. ძალადობაზე ორიენტაცია, როგორც ჩანს, „ნაცმოძრაობის“ დღევანდელი დღეც არის.

— ბატონო რამაზ, ბესელიამ და ჭიჭინაძემ ახალი პარტიის შექმნა დააანონსეს. ანუ, „ქართული ოცნების“ ყოფილი მხარდამჭერები ახლა, მის წინააღმდეგ ერთიანდებიან. რატომ მივიდა საქმე აქამდე?

— საქმე აქამდე რატომაც მივიდა, სწორედ ამ ხალხის ინტერვიუებისას გაჟღერდა: „ქართულმა ოცნებამ“ 2012 წლის იდეალებს უღალატაო. 2012 წელი გულისხმობდა „ნაცმოძრაობის“ როგორც სისტემის დამარცხებას. „ქართული ოცნება“ კი დაკმაყოფილდა რამდენიმე კონკრეტული პიროვნების დაპატიმრებით და თავად სისტემა ხელუხლებელი დატოვა. ამ სისტემის ანალიზიც კი არ მომხდარა თუ რასთან გვქონდა საქმე „ნაცმოძრაობის“ დროს. თუ „ქართული ოცნება“ ამ სისტემას სიცოცხლისუნარიანობას შეჰმატებს, ამით ისევ თავად დაზარალდება.

— ბატონო რამაზ, ბოლოს მინდა გკითხოთ: ვამბობდით, რომ შუალედური არჩევნებით 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების ბედი გაირკვეოდა. თქვენთვის, რა გაირკვა?

— საინტერესო შეკითხვაა. ჩემთვის გაირკვა ის, რომ „ნაცმოძრაობა“ ისევე მიუღებელია ქართული საზოგადოებისთვის, როგორც ადრე. რაც უფრო მეტ აგრესიას გამოავლენს „ნაცმოძრაობა“, მით უფრო მეტად მიუღებელი იქნება საზოგადოებისთვის. საზოგადოებას მშვიდობიანი ცხოვრება უნდა. „ნაცები“ ცდილობენ მშვიდობიანი ცხოვრების ნაცვლად საზოგადოებას შესთავაზონ მათთვის იბრძოლონ. ანუ, გვთავაზობენ მოსახლეობის ინტერესების გამო ბრძოლას კი არა, არამედ იმისთვის, რომ „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებაში მოვიდეს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასაკალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

შავი მთვარის ჭამი და შავი კაცი, შავი სინდისით და შავი გულით

მთაწმინდელთა დიდი სირცხვილი იქნება მკვლელთა და „ტრუპების“ შემკვეთთა მეგობარი და ფავორიტი შალვა შავგულიძე მათი რჩეული გახდეს

I

მართლაც ბედის ირონიაა, როდესაც ისეთ გამოჩინებულ რჩეულ ქართველს, ბრწყინვალე მკურნალს და ერისკაცს, როგორიც ლადო კახაძე გახლავთ, ბოკერია-ბაქრაძე-ბერძენიშვილების ფავორიტი შავგულიძე უპირისპირდება მთაწმინდაზე.

ჩვენ ვიცით, ქართველებმა, ასე: უკეთესს უარესს მივუყენებთ გვერდზე, რომ ასე მისი ღირსება დავამცროთ და დავამდაბლოთ...

კარგად გვახსოვს ნაპარლამენტარი შავგულიძე, რომელიც ვერც პოლიტიკოსად იქცა და ვერც ღირსეულ იურისტად. აქეთ-იქით იხტუნავა და ბოლოს ისევ ლიბერასტების „კასრში“ ჩახტა...

კაცი, რომელიც უყოყმანოდ მიუდგა საკაშვილის იმ კლანს, რომელთაც ადამიანის „მსხვერპლშეწირვა“ „გააცოცხლეს“, როგორც საკერპოებთან იყო აბრაამის დროს...

მართლაც პირდაპირ დააკლეს გაყინულ მიწას, ყელი გამოღადრეს გირგვლიანს და მერე კლდეზე გადაჩეხეს.

წამებით სული ამოხადეს მოლაშვილს, თეთრაძეს და მრავალ სხვას.

„ტრუპების“ მომთხოვნთა ეს სექტა ქართველ ერს სასჯელად ექცა. თანდათან პროვოკატორ-რევანშისტ ავანტურისტებად ჩამოყალიბდნენ.

ახლა ესენი გვიმტკიცებენ, რომ შავგულიძე კარგი (თეთრი) ბიჭია, რომ ის მურუსიძეს ჯობია.

მაგრამ მაინც:

რით სჯობს მურუსიძეს შავგულიძე? მურუსიძეს პირადად არავინ მოუკლავს, შავგულიძე კი პირდაპირ მიუდგა და მიეწება მკვლელებს.

მოლაშვილს არ უთქვამს, რომ მას მურუსიძე აწამებდა, ანუ ის იღებდა მის წამებაში მონაწილეობას!

მოლაშვილმა ბოკერიას დაადო ხელი და თქვა, რომ მის წამებაში პირადად მონაწილეობდა ბოკერია, როდესაც პაპიროსის დამღას ასვამდნენ ბეჭებზე!

შავგულიძე დგება შლეგი, ავანტურისტულ-რევანშისტული კლანის გვერდით, რომლებმაც ეკლესიები და მონუმენტები მოანგრიეს მსხვერპლშეწირვებით, ხოლო ბოკერია (ბარამიძე-უგულავა-ახალაიასთან ერთად) პირადად ხელმძღვანელობდა გლდანის ეკლესიის დანგრევას კამაზებით და იქიდან მღვდლების „წვერებით“ გამოთრევას...

ხოლო უგულავა, კაცი, რომელიც სინოდის სხდომებს „უტარებდა“ პატრიარქს და როცა პატრიარქი ეპოსტოლეს კითხულობდა, იგი ზურგთან ჩამოუდგებოდა

ეპოსკოპოსებს შორის (საიდანღაც ამომძვრალი მეცამეტე მოციქულივით) და „ეპისტოლეს უკონტროლებდა“. ამის მომსწრე პირადად მე ვარ... და ერთი სხვაც...

უგულავა, „ცხინვალის სამარცხვინო კომენდანტი“, ქალაქს „მორატორიუმს რომ უწესებდა“, გამსვლელთა და იქ დამრჩენთათვის, შემდეგ შარდის ბუშტი რომ გაუსკდათ და გორში მიწაზე ხოხავდნენ...

ამათი ფავორიტია და ამათ მიუდგა ახლა შავგულიძე, ამათ ფავორიტად იქცა მთაწმინდაზე სადეპუტატოდ!

●

შავგულიძე ლადო კახაძეს ვერ დაუპირისპირდება!

მან, შავგულიძემ, ამ მამალი ნაცების და ლიბერასტების ფავორიტმა, ერთი ხმაც კი ვერ უნდა მოიპოვოს მთაწმინდაზე.

წეღანაც ვთქვი, პარლამენტს სჭირდება რჩეული, მწიგნობარი და კითხული კაცები, რომელთაც ერს ქართული სიტყვა და იდეა უნდა მიაწოდონ პარლამენტიდან, ხოლო კანონების წერად კი ის ათამდე იურისტიც ეყოფა, რომლებიც ისედაც საკმარისზე მეტნი არიან პარლამენტში!

შავგულიძე ვერანაირად ვერ გახდება დეპუტატი. ეს ცნობიერებაგადაბრუნებული კაცი (ცოლთან ერთად) გეხსომებათ, „კავკასიის“ არხზე ჯანგირაშვილის დასმენილთა და დაპატიმრებულ პატრიოტთა მოწინააღმდეგე იყო.

როდესაც მწერლებს, მთაწმინდელებს, მთაწმინდის რაიონში საკაშვილის ამ ხროვამ ისტორიული სახლი წაართვა და პოლიციის ძალით გარეთ, ქუჩაში გამოყარეს უკანონოდ, იურისტ შავგულიძეს სიტყვაც არ დაუძრავს ამის საპროტესტოდ!

ის თავიდანვე ამ ვანდალების მხარეზე იყო და ახლაც მათთან

დარჩა!

ბატონი ლადო კახაძე 10000 შავგულიძეს მოუგებს ერთად შეკრებილთ!

ეს მწიგნობარი, ინტელექტუალი, მამულიშვილი, მწერალი და მწერალთა ეროვნული აკადემიის დამფუძნებელთა დარბაზის წევრი მწერლებმა უნდა აიყვანონ პარლამენტის დეპუტატად მთაწმინდიდან!

მას მართლაც ბევრი რამის გაკეთება შეუძლია მთაწმინდელებისთვის და მთელი ერისთვის, როგორც სიტყვით, ასევე საქმით: ქომაგობით, გვერდში დგომით, გამორჩეული იდეებით, რომელიც პარლამენტს სწორედ ახლა სჭირდება!

II

რესპუბლიკური პარტია და ამ პარტიის ურწმუნო „თხები“: სამნიძე-გვარამია-ხიდაშელები განუწყვეტლად ატარებენ ბინძურ კამპანიებს ეკლესიისა და ერის ინტერესთა საზიანოდ.

ვინ არიან ესენი, საიდან მოსულნი, ანუ სადაურნი? რომელი

სისხლისა და ჯიშის წარმომადგენელნი, ასე რომ სძულთ საკუთარი ქვეყანა და ეკლესია?

მათთვის არ არსებობს სამშობლოს ფენომენი, მამული, ისტორია, კულტურა, რომელიც წინაპრებმა შექმნეს.

მათთვის ჭეშმარიტებაა გამოხატვის თავისუფლება და ლიბერალიზმია, რომელსაც მორალი არ სჭირდება! კაცი ვერ გაიგებს, რომელ აღმსარებლობას განეკუთვნება ბერძენიშვილების ეს ჯიში: იქნებ, მაჰმადიანურს, იქნებ, იეღოვურს, ბუსისტურს, ან რომელიმე სხვას? ან რა უნდათ, საერთოდ?!

ვუყურებთ მაგათ პოზას, განათლებულ, მწიგნობარ კუმირებად რომ მიაჩნიათ თავისი „ბუს თავები“ და გახსენდება ბრძენი ხევსური ხევისბერის ნათქვამი აკაკი ასანიძისთვის: „ჩემს შვილს სწავლა კი აქვს, მაგრამ ჭკუა არა აქვს, სწავლა ერთია, ჭკუა მეორეო!“

მართლაც რა უჭკუობის ვირუსი შეეყარა ამ ვითომ განათლებულ, წიგნიერ კლანებს და თავად იქცნენ ვირუსებად.

და, აი, ახლაც იგივენი (ბერძენიშვილი და რესპუბლიკელები) გამოფოფხდნენ შავგულიძის მხარდასაჭერად! მის მთაწმინდაზე ასაყვანად! ქართული პარნასის და ქართველთა სულიერი მთის (მამა დავითის) შელანძღვა მოინდომეს. აქედან უნდა დავამხოთო ივანიშვილის რეჟიმი, პირდაპირ ასე აცხადებს ცხინვალის ომიდან გამოქცეული დანაჩანგლებიანი სანჩო-პანსა ბაქრაძე.

გამოუჩნდნენ მიმწოლად შავგულიძეს, „შავი მთვარის“ ფავორიტს შავი მაგიით გაჩხიბულნი...

ხომ არის ნიშანდობლივი: შავგულიძე-რესპუბლიკელები-ნაცები — ერთ სახაშლამე ქვაბში?! — არის ნიშანდობლივი და ასეც უნდა ყოფილიყო.

თუმცა ბერძენიშვილმა განაცხადა: თუ ჩვენი პარტიის ჯიში არ ურევია, იმ პარტიას და ხელისუფლებას არაფერი გამოსდისო!

მაგრამ დაავიწყდათ რესპუბლიკელ ლიბერასტებს, სადაც ისინი მივიდნენ და შევიდნენ, სადაც მათი ჯიში შეერია, ყველაფერი გაფუჭდა იმ ჯიგრის ყაურმასავით, ნაღველიანი ელენთა რომ შეერევა!

ამაოდ „გამობაზალუყდით“ შავგულიძის მხარდასაჭერად, ყველამ იცის, რა ყვავებიც ხართ!

კობა არაბული
მწერალი, ეთნოლოგი, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

უმადურობის სინდრომი

ბატონო ბიძინა, ერთი თხოვნა მაქვს თქვენთან: ავაშენოთ ერთი დიდი ფსიქიატრიული შენობა „ნაცებისთვის", თავიანთი პარლამენტი თვითონ აირჩიონ, პრეზიდენტად მიშა სააკაშვილი დასვან, პრემიერ-მინისტრად ნიკა მაჭუტაძე, უსაფრთხოების შეფად ელისტრაკო კილაძე, გენპროკურორად ნიკუტა გვარამია და იყონ ბედნიერად.

წერილი მეშვიდე

ბატონო ბიძინა, ერთი სათხოვარი მაქვს, თუ ღმერთი გწამთ, უარს ნუ მეტყვით. ძალიან კი მერიდება, ამდენ რამეს აშენებთ და ახლა კიდევ ახალ მშენებლობაზე რომ დაგიწყოთ საუბარი, მაგრამ სხვა გზა უბრალოდ არ არსებობს. არ ვიცი, საიდან დავიწყო, სათქმელს თავი როგორ მოვაბა... ჯერ კიდევ შარშან გავრცელდა ინფორმაცია, საქართველოში რამდენიმე ახალი ფსიქიატრიული აშენდებაო, გადის თვეები და ამ საქმისა აღარაფერი ისმის. როგორც ჩანს, მთავრობამ რაღაც დროით გადადო, ან კიდევ დაავიწყდა. არადა, ალბათ, თქვენც ხედავთ, ძალიან გვჭირდება ამგვარი დაწესებულებები. ავლიპ ზურაბაშვილის გაცოცხლებას არ გთხოვთ... რომც გთხოვოთ, ამას ვერც შეძლებთ, მაგრამ ის მაინც ხომ შეგიძლიათ, ერთი დიდი შენობა ააშენოთ, დადგათ ერთი დიდი სამოვარი, სადაც „ნაციონალები" სამეგრელოს ნაცვლად აადუღებენ ჩაის და ისაუბრებენ რევოლუციაზე, ხელისუფლებაში დაბრუნებასა თუ სხვა საჭირბოროტო საკითხებზე. დამიჯერეთ, ეს იქნება პატარა სახელმწიფო საქართველოში, იქ მოთავსებულ ადამიანებს ეყოლებათ თავიანთი პრეზიდენტი – მიხა სააკაშვილი, ეყოლებათ პრემიერ-მინისტრი – ნიკა მაჭუტაძე, თავდაცვის მინისტრი – ჩვენ თითონა პაატა დავითაია, მთავარი პროკურორი – ნიკუტა გვარამია, იუსტიციის მინისტრი – მეგი გოცირიძე, კულტურის მინისტრი – მაია ორჯონიკიძე, უსაფრთხოების სამსახურის უფროსი – ელისტრაკო კილაძე, პარლამენტის თავმჯდომარე – ბაჩუკი ქარდავა... რომელი ერთი ჩამოვთვალო? მე თქვენ გეტყვით, კადრები არ ჰყავთ, პროფესიონალიზმი აკლიათ, გამოცდილება არ აქვთ თუ ჭკუა-გონებით არ არიან გაძეძგილები? რაც მთავარია, მათ ეყოლებათ თავიანთი ნაპოლეონ ბონაპარტი, მაქსიმილიან რობესპიერი, ჟან პოლ მარატი... ეყოლებათ თავიანთი დედოფალი – სანდრინია რულოფსი. ნუ, რა ვქნათ, პერიოდულად რუსეთსაც გამოუცხადებენ ომს, იქნება ბათქი და მერე უკან გამოქცევაი საკვირველი, მაგრამ ესეც უნდა ავიტანოთ.

ბატონო ბიძინა, სიტყვამ მოიტანა და ბარემ ერთ საიდუმლოსაც გაგიმხელთ: შეიძლება არ დაიჯეროთ, ცხონებულ ავლიპ ზურაბაშვილს პირადად ვიცნობდი. 1987 წელს, ჯერ კიდევ სტუდენტობისას, როცა საქართველოს ტელე-რადიო კომიტეტში დავიწყე მუშაობა, საახალწლო გადაცემის მოსამზადებლად სწორედ მასთან გამაგზავნეს. იცით, ძალიან გულდაწყვეტილი იყო პაპა ავლიპი, ბოლო დროს ახალგაზრდები აღარ მაფასებენ, აღარც მსტუმრობენ და აღარც მკითხულობენო. ხომ წარმოგიდგენიათ, ახლა რომ ცოცხალი იყოს, როგორ გაიხარებდა? კლიენტიც ბევრი ეყოლებოდა, სტუმარიც, მომკითხავიც და დამფასებელიც. ერთი სიტყვით, ბევრს აღარ გავაგრძელებ ამ თემაზე, აშენეთ ერთი დიდი ფსიქიატრიული, თორემ დაიღუპა ერი „ნაციონალების" საცოდაობით.

პრინციპში, მარტო „ნაციონალების" საცოდაობით? შეხედეთ, რა დღეშია გუბაზ სანიკიძე, თქვენი ძველი თანამებრძოლი, რომელმაც მილიონი დოლარი აშკარად ვერ იშოვა, ვერ ჩაიგდო ხელში საბაჟო, ან კიდევ „საქართველოს რკინიგზა". ახლა იძახის აქუს ბოსლიდან, ბიძინა ივანიშვილის დაუძინებელი მტერი ვარო. არადა, სანამ დეპუტატი იყო (ესეც თქვენი ხათრით არჩეული), დღენიადაგ ეძინა, ჟურნალისტები სანთლით ვეძებდით და იმალებოდა. ერთი-ორჯერ წავიჭირეთ, თავი შორს დაიჭირა, სალაყბოდ არ მცალია, დიდ საქმეებს ვარ შეჭიდებულიო. ამაზე ბევრი ვიცინეთ, მაგრამ გავატარეთ, ესეც თქვენი ხათრით. მივა ხოლმე საღამოობით აქუსთან, ხან სახლშიც აღარ მიდის, მეორე დღეს ისევ მისასვლელია, ხან სტუდიაში სძინავს და პერიოდულად რომ იღვიძებს, ყმუის, ივანიშვილის დაუძინებელი მტერი გახლავართო.

შეხედეთ, რას ჰგავს შალვა შავგულიძე, რომელიც თავის ცოლთან ერთად კოალიციაში იყო შემომძვრალი და კარგადაც იხეირეს. აღარ მოვყვები მაგათ ამბავს დაწვრილებით, ეგ ჩემზე უკეთესად იცით. უბრალოდ იმის თქმა მინდა, რომ კაცი ეგრე გაშიშვლებულიყოს, ჯერაც არ მინახავს, არცა მსმენია – ტიპს, რომელიც გირგვლიანის საქმის ადვოკატი იყო და ვითომ გავეშებით ებრძოდა „ნაციონალებს", მიშა სააკაშვილმა მთელი საქართველოს გასაგონად მხარდაჭერა გამოუცხადა. კი ვიცი, რასაც ნიშნავს მიხას მხარდაჭერა, ფაქტობრივად ჩაძირვას, მაგრამ ნახეთ, როგორ შეიფერა? სააკაშვილს მადლობაც კი გადაუხადა. ღმერთო, მაღალო, ძალიან მძიმე საყურებელია ამათი საქციელი და წამდაუწუმ ფერისცვალება, რაც უფრო მეტად იქაჩებიან, რაც უფრო მეტად მოძრაობენ, მით უფრო ღრმად და სამუდამოდ ეფლობიან ჭაობში.



ბატონო ბიძინა, გამოგიტყდებით, პირადად მე რომ მცოდნოდა, დემოკრატია ფსიქიატრიულ მოვლენებთან იქნებოდა დაკავშირებული, სასტიკი წინააღმდეგი ვიქნებოდი. დემოკრატია რატომ ჰქვია იმას, როცა პოლიციას ვინმე „ჭურნალისტად" წოდებული გიორგი კაპანაძე ვიღაც „პრაშმანდოვკა" ქალთან ერთად წინ უდგება, აჩერებს, „ებლატავება" და კატეგორიულად სთხოვს, მაჩვენე, მანქანით რა მიგაქვთო, ეს უკვე ამაზრზენია. არ მგონია, ამ მარაზმს რამე საერთო ჰქონდეს დემოკრატიასთან, მაგრამ ჩვენ ასე გვიხატავენ. რაღა დაგიმალოთ, მე რომ პოლიციელების ადგილას ვყოფილიყავი, ნაბოზარ კაპანაძეს წიხლქვეშ გავიგდებდი და ერთი-ორი წლით ვირის აბანოშიც შევაგდებდი. არ გახსოვთ, რაზე გელაპარაკებით? აი, იმაზე, სამეგრელოში შუალედური არჩევნების დღეს ყვერაცუა კაპანაძე პოლიციელებს რომ მიუხტა და ერთი ამბავი აწია, მანქანით „დუბინკები" მოგაქვთ, რათა დაგვარბიოთო. კი წაათრიეს მოგვიანებით პროვოკატორი ფოთის პოლიციაში, მაგრამ ვერ გავიგე, როდემდე უნდა ვუყუროთ ჩვენ, რიგითმა მოქალაქეებმა ამათ თავხედობას და ჩათლახობას?

წინა წერილშიც დავწერე ქათამ გვარამიას შესახებ, მაგრამ რა? გავიდა მას შემდეგ რამდენიმე დღე და ისეთები დაატრიალა სამეგრელოში, თვალო ნუ დაინახავ და ყურო – ნუ გაიგონებ. ვიმეორებ: ტიპი იძახის, 2016 წლიდან მოყოლებული ბიუჯეტში გადასახადს არ ვიხდი, რათა „რუსთავი 2" არ გაკოტრებულიყოო და ამ დროს 1000-ლარიან ჯილდოებს უწესებს, ვინც ინფორმაციას მიაწვდის. მეტიც, ტიპი ბიუჯეტში არაფერს იხდის და ამ დროს ხელფასი აქვს 60 ათასი ლარი.

ერთი სიტყვით, მგონი შევთანხმდით... პრინციპში, სხვა გზა არც არსებობს, ეს საქმე 2020 წლამდე უნდა მოვამთავროთ, თორემ თუ ყველა გიჟი პარლამენტში შევიდა, ძალიან გაგვიჭირდება. როგორც „პატრიოტელი" ადა მარშანია აცხადებს, ამჟამად ყოველი ათი პოლიტიკოსიდან რვა ფსიქიკურადაა მორღვეული და წარმოგიდგენიათ, წელიწადნახევრის შემდეგ რა მდგომარეობა გვექნება? ასევე, შემოვდივარ წინადადებით, ფსიქიატრიულის ეზოში ავაშენოთ ერთი დიდი დარბაზი, რომელიც იქნება პარლამენტი, სადაც კლიენტები მიიღებენ თავიანთთვის სასურველ კანონებს და იცხოვრებენ იმავე კანონებით. რა ვიცი, აქოურ ადათსა და სამართალს ეგენი არ სცნობენ და.

პატივისცემით,

გელა ზედელაშვილი

„ქართული ოცნება“ „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ

გასულ კვირას ორი ახალი პარტიის დაფუძნება დაანონსდა, რომელთა ლიდერებიც „ქართული ოცნების“ ყოფილი წევრები არიან. სავარაუდოდ, ისინი თავიანთი პარტიების შევსებას ისევ და ისევ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებით აპირებენ, თუმცა ამას ხმამაღლა და გარკვევით არ ამბობენ, მაგრამ, თქმა რად უნდა, უთქმელადაც ცხადია ყველაფერი.

მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო „ქართულ ოცნებაზე“ გაბრაზებული და განაწყენებული ადამიანების რაოდენობა საკმაოდ დიდია.

ეს ის კატეგორიაა ადამიანებისა, რომლებიც „ქართული ოცნებიდან“ კი წამოვიდნენ, მაგრამ, ჯერჯერობით, არსად არ მისულან.

ან სად უნდა მივიდნენ? — „ნაცმოძრაობაში“? „ევროპულ საქართველოში“? „გირჩში“? იქნებ, „ლეიბორისტულ პარტიაში“, რომელიც კარგა ხანია „ნაცმოძრაობის“ ფარულ მოკავშირედ იქცა? იქნებ, ბურჯანაძის პარტიაში, რომელიც სრულიად გაუგებარი მიზეზებით, ფაქტობრივად, ჩამოშორდა პოლიტიკურ პროცესებს და დამკვირვებლის და შემფასებლის ფუნქციაღა დაიტოვა?

ასე რომ, „ქართული ოცნების“ ყოფილ მხარდამჭერებს წასასვლელი არსად არ აქვთ, რადგან ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, ჯერჯერობით, არ არსებობს პოლიტიკური ოეგანიზაცია, რომელიც იმ ფასეულობებსა და ღირებულებებზე იქნებოდა ორიენტირებული, რომელთა სახელითაც ადამიანები 2011–12 წლებში აქტიურად ჩაებნენ პოლიტიკურ ბატალიებში და ყველაფერი გააკეთეს გამარჯვებისთვის.

„ქართული ოცნების“ ყოფილი მხარდამჭერები, სინამდვილეში, დღემდე მოლოდინის რეჟიმში არიან — ისინი ელოდებიან მრავალგზის დაანონსებულ ცვლილებებს, რომ კვლავ უკან დაბრუნდნენ, მაგრამ ეს ცვლილებები იგვიანებს, ხოლო იმ რეალობაში დაბრუნება, რომელშიც დღეს „ქართული ოცნება“ იმყოფება, ამ ადამიანებს არ სურთ, თუმცა რომც სურდეთ, შეიძლება, ისინი ოდესღაც მშობლიურმა ორგანიზაციამ არც მიიღოს, რადგან „წინაპართაგან წავიდა ყველა, სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული“.

ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკაში დაბრუნებამ კვლავ გააცოცხლა მინავლებული იმედები „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა შორის, თუმცა არც ამ დაბრუნებას მოჰყოლია ის რევოლუციური ხასიათის მკვეთრი ცვლილებები, რასაც „ქართული ოცნების“ ე.წ. ძველი გვარდია მოელოდა.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ირაკლი ღარიბაშვილს, მოცემულ მომენტში, არ გააჩნია ის უფლებამოსილებები, რაც მას საშუალებას

მისცემდა, „ქართული ოცნებისკენ“ შემოებრუნებინა ის საკმაოდ მრავალრიცხოვანი ძალა, რომელიც, როგორც ვთქვით, დღემდე მოლოდინის რეჟიმში ცხოვრობს.

ადამიანთა ეს კონტინგენტი, შეიძლება ითქვას, პერსონალურად ირაკლი ღარიბაშვილის (არა მთლიანად, „ქართული ოცნების“) მხარდამჭერი კონტინგენტია, რომელიც „ქართული ოცნების“ გადახალისების, გაწმენდის, მისი რეორგანიზაციის შანსს ღარიბაშვილში ხედავენ.

„ქართული ოცნების“ რიგებიდან გასული პოლიტიკოსები, რომლებმაც ახალი პარტიების დაფუძნების იდეა დააანონსეს, სწორედ ამ კონტინგენტს უტრიალებენ და თავიანთი რიგების შევსებას იმ რეზერვით შეეცდებიან, რომელიც სინამდვილეში ირაკლი ღარიბაშვილის პერსონალური რეზერვია.

მარტივი ლოგიკაა — რაც უფრო დიდ ხანს გაიჭიმება „ქართული ოცნების“ შიდა რეფორმების პროცესი, მით უფრო მეტი შანსი ეძლევა ამ ახლად შექმნილი პარტიების წარმომადგენლებს, რაც შეიძლება მეტი ადამიანი გადმოქაჩონ ამ რეზერვიდან.

გარდა უკვე დაანონსებული პარტიებისა, სულაც არ არის გამორიცხული, „ქართული ოცნების“ წიაღს სხვა პერსონალიებიც და სხვა ჯგუფებიც გამოეყონ, რომლებიც ასევე შეეცდებიან პატარ-პატარა პარტიუკების შექმნას.

„ქართულმა ოცნებამ“ როცა ის 2012 წელს კოალიციის სახით შევიდა პარლამენტში, მთელი ოთხი წლის განმავლობაში კვება რამდენიმე არაფრისმაქნისი პარტია, რომლებმაც შიგნიდან გამოხრეს და გამოჭამეს „ქართული ოცნება“, ბოლოს კი ბიძინა ივანიშვილს მიადგნენ შესაჭმელად.

„ქართული ოცნების“ მთავარ შეცდომად კაბიტაციას მიიჩნევენ, თუმცა კაბიტაციაზე არანაკლებ დიდი შეცდომა იყო „რესპუბლიკური პარტიის“ შეყვანა კოალიციაში, რომელმაც უდიდესი ზიანი მიაყენა „ქართულ ოცნებას“.

„რესპუბლიკური პარტია“, რომელიც ისედაც ყველანაირი პრივილეგიებით სარგებლობდა, ყველა საკვანძო პოსტზე, თბილისში თუ

რეგიონებში, თავისი კადრების დანიშვნას ითხოვდა, თითქოსდა რაღაც განუზომლად დიდი დამსახურებები ჰქონდათ ქართველი ხალხისა და „ქართული ოცნების“ წინაშე.

არადა, მათი „დიდი დამსახურება“ იმით შემოიფარგლებოდა, რომ კოალიციაში მიწვევამდე ხმამაღლა აცხადებდნენ, ბიძინა ივანიშვილი მიხეილ სააკაშვილის პროექტია და „ქართულ ოცნებას“ ახლოს არ გაეკაროთო.

რესპუბლიკური პარტიის მიერ ჩატარებული ეგზეკუციის დამანგრეველმა შედეგებმა სერიოზულად შეაფერხა „ქართული ოცნების“, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის, შემდგომი განვითარება და გაფართოება.

რაც შეეხება ახლახან დაანონსებულ პარტიებს, ექსპერტთა აზრით, ისინი დიდი კონკურენციას ვერც „ქართულ ოცნებას“ გაუწევენ და ვერც „ნაცმოძრაობის“ განაყოფ სხვა პარტიებს, თუმცა მათმა გამოჩენამ პოლიტიკურ ასპარეზზე შეიძლება „ქართული ოცნების“ შიგნით კიდევ სხვა ჯგუფები წააქეზოს და წაახალისოს „სეპარატიზმისკენ“

არსებობს ვარაუდი, რომ ეს პროცესი მართულია და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, შეიძლება, „ქართული ოცნების“ წიაღიდან კიდევ რამდენიმე პოლიტიკური ორგანიზაცია დაიბადოს, რომლებიც დამოუკიდებელ სუბიექტებად კი მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას, მაგრამ, სინამდვილეში, „ქართული ოცნების“ სატელიტები იქნებიან.

— ბევრი „ქართული ოცნება“ პარლამენტში, ოღონდ სხვადასხვა სახელით! — აი, ასეთია ვარაუდები, რომლებიც ჯერარშემდგარი ამ პროექტის გარშემო დროგამოშვებით გამოითქმის.

არის კიდევ ერთი გარემოება, რომელმაც, შეიძლება, ქართული პოლიტიკის საჭადრაკო დაფაზე დიდი გადაადგილებები და სრულიად მოულოდნელი კომბინაციები გამოიწვიოს.

თუ ვლადიმერ ზელენსკი, რომელიც ძალიან ჰგავს მიშას, ოღონდ სიგრძე-სიგანეში დაპატარავებულ მინიატიურულ მიშას, სააკაშვილს უკრაინის მოქალაქეობას დაუბრუნებს, რაც ავტომატურად ნიშნავს სააკაშვილის ჩართვას უკრაინულ ბატალიებში, შეიძლება, ამან სააკაშვილს საქართველოსადმი ინტერესი გაუნელოს, რაც აუცილებლად გამოიწვევს ისედაც დემორალიზებული „ნაცმოძრაობის“ და ხელოვნურად შეკოწიწებული გაერთიანებული ოპოზიციის კიდევ უფრო დასუსტებას.

სააკაშვილი ავადმყოფია. ის ძალაუფლების ფლობისადმი მანიაკალურად არის მიდრეკილი და, აქედან გამომდინარე, მისთვის სულ ერთია, სად იქნება „მეფე“ — საქართველოში თუ გვინეაში, ოღონდ „მეფე“ იყოს და ადამიანებზე სადისტური ზემოქმედების ბერკეტებს ფლობდეს.

ბუნებით მხდალი, მოღალატე და გადამგდები სააკაშვილი, თუ დასჭირდა, კიდევ ერთხელ უღალატებს მის მიერ ბევრჯერ ნაღალატევ საქართველოსაც, „ნაცმოძრაობასაც“, გაერთიანებულ ოპოზიციასაც, სანდრასაც, გრიშასაც, ოღონდ ძალაუფლების მწვერვალზე იყოს შემოსკუპებული და იქიდან ადამიანებს დუჟს ანთხევდეს.

ასეა თუ ისეა, ის გაურკვეველი და ბუნდოვანი სიტუაცია, რაც დღეს ქართულ პოლიტიკაშია, არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს.

წინ დიდი ვნებათაღელვა და დიდი ცვლილებები გველოდება.

მიმოხილველი

რა არ იცის საქართველომ „ენგურჰესის“ შესახებ?

● რაც „ენგურჰესი“ არსებობს, აფხაზეთს დენი უფასოდ მიეწოდება და ამის დაბრალება ბიძინა ივანიშვილისთვის დიდი უნამუსობაა!

● დღეს „ენგურჰესი“ არის ის ერთადერთი ძარღვი, რომელიც საქართველოს და აფხაზეთს ერთმანეთთან აკავშირებს და მისი გაწყვეტა ორივე მხარისთვის სასიკვდილოდ დამაზიანებელია.



ნაცსექტანტებს ბოლო ხანს, ანუ წინასაარჩევნოდ ახალი „გამოცხადება“ ჰქონდათ, ეს „სამშობლოს მოღალატე“ ბიძინა ივანიშვილი აფხაზეთს უფასოდ აძლევს ენგურჰესის გამომუშავებულ ელექტროენერგიას, იმიტომ, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ბიტკოინების ქარხნები აქვს და თვითონ იყენებს ამ დენსო. ამ ცრუპენტელების „კამანდამ“ თურმე ახლა გაიგო



და უნდა საზოგადოებასაც მათ აღმოჩენად შეასაღოს, რომ რაც ენგურჰესი არსებობს, აფხაზეთი დენს უფასოდ იღებს. ამ და სხვა საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით, გვესაუბრება „ენგურჰესის“ გენერალური დამპროექტებელი, თბილისის სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საძიებო ინსტიტუტის ჰიდროპროექტის ყოფილი დირექტორი, ენერგეტიკის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ანზორ ჭითანავა.

ანზორ ჭითანავა: ენგურჰესის შესახებ სანამ უფრო დეტალურად ვისაუბრებდეთ, გეტყვით, რომ აფხაზეთი ათეული წლებია დენს უფასოდ იღებს და საერთოდ, ენგურჰესის ამუშავების შემდეგ ელექტროენერგიას იმ სქემით ვაძლევდით, რომელიც ჰესის პროექტში იყო ჩადებული და იძლეოდა მართვის ოპტიმიზაციის საშუალებას. ასე, რომ აფხაზეთისთვის დენის უფასოდ მიწოდების საკითხის ბიძინა ივანიშვილის სახელთან დაკავშირება, აბსოლუტური სიცრუეა.

აფხაზეთის (გალის რაიონი) ტერიტორიაზეა მთავარი გამანაწილებელი პულტი, საიდანაც მიდის ელექტროენერგია მთელს საქართველოში, მათ შორის აფხაზეთში. აფხაზეთმა თავი ცალკე სახელმწიფოდ კი გამოაცხადა, მაგრამ ელექტროენერგიას ძველებურად იღებს, რაშიც ფულს არ იხდის, მაგრამ აქ საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ, მგონი, არავინ დავობს, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია. დღესდღეობით ენერგეტიკაა ის ერთადერთი სფერო, სადაც ეს ერთიანობა შენარჩუნებულია. სხვათა შორის, ენგურჰესის გამომუშავებული ელექტროენერგიის გაყოფის საკითხი 1995 წლამდე არც დამდგარა, აფხაზები იმდენ ელექტროენერგიას ღებულობდნენ, რამდენსაც სისტემა იძლეოდა საშუალებას.

ენგურჰესი რომ აშენდა, ეს საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების კერძოდ, ვასილ მჟავანაძის და ქართველი მეცნიერების დამსახურებაა. 1961 წელს საბჭოთა კავშირის მეთაური ნიკიტა ხრუშჩოვი ბიჭვინთაში ჩამოვიდა. ენგურჰესის მშენებლობის საკითხი კი იყო გადაწყვეტილი და პრაქტიკულად შეთანხმებული ცენტრალურ ხელისუფლებასთან, მაგრამ ბოლომდე არ იყო შეთანხმებული, სად იქნებოდა მშენებლობის მართვის ცენტრი. მშენებლობა მოიცავდა მესტიის, ზუგდიდის, წალენჯიხისა და გალის რაიონებს, მისი რადიუსი დაახლოებით 80 კილომეტრი იყო. გადაწყდა, რომ ზუგდიდში ყოფილიყო მართვის ცენტრი, რადგან ზუგდიდი უფრო მომზადებული იყო რთული მშენებლობისთვის, ვიდრე დანარჩენი რეგიონები. თვითონ პროექტმა გაათანაბრა ურთიერთობები, ყველა რაიონს თავისი ასე ვთქვათ, ფუნქცია განუსაზღვრა. გალის რაიონის ტერიტორიაზე მოეწყო სარკინიგზო-საკვანძო ბაზა, უზარმაზარი სასაწყობე მეურნეობა, ყველაფერი, რაც ენგურჰესის მშენებლობას უნდა მიეღო, აქ უნდა ჩასულიყო რკინიგზით, რადგან ეს ყველაზე ხელსაყრელი ადგილი იყო. აფხაზეთის ტერიტორიაზე განთავსდა მშენებლობის უბანი, მთავარი ადგილი, რომელსაც ჰიდროსადგურის მშენებლობაში ძალოვანი კვანძი ჰქვია, მიწისქვეშა სადგური, გაშენდა საბერიოს და რეჩხის დასახლებები მშენებლებისა და მომსახურე პერსონალისთვის. ენგურჰესის ყველა ელიტარული ხელმძღვანელი რეჩხის დასახლებაში ცხოვრობდა. გალის რაიონში ასევე აშენდა გუდავას დასახლება, იქ სადაც ენგურის არხი ზღვას უერთდება. აშენდა პიონერთა ბანაკი, მშენებელთა დასავენებელ-გამაჯანსაღებელი ბაზა კინდღაში, ასე რომ, მშენებლობის ინფრასტრუქტურული მდგენელების უმრავლესობა აფხაზეთის ტერიტორიაზე განთავსდა, რაც გეოგრაფიული მოხერხებულობის გამო შეირჩა.

თვითონ პროექტმა განსაზღვრა მთავარ საკითხთან ერთად, აფხაზეთის ტერიტორიაზე (საბერიოში) აშენებულიყო უნიკალური მიწისზედა ელექტროგადამცემი ქვესადგური. ამ ქვესადგურიდან ხდება გადამცემი სისტემის დაკავშირება მთელი ქვეყნის მასშტაბით.

— ბატონო ანზორ, რომელ წელს დამთავრდა ენგურჰესის მშენებლობა?

—მშენებლობა, როგორც გითხარით, 1961 წელს დაიწყო, პირველი რიგის სამუშაოები 1978 წელს დასრულდა, ამ დროს უშუალოდ ენგურჰესზე ვმუშაობდი, ხოლო 1987 წელს, კაშხლის მთლიანი ციკლი და მთლიანად ჰესის მშენებლობაც ამ წელს დამთავრდა. ჰესის მშენებლობა ფაქტობრივად 26 წელი გაგრძელდა, რადგან ძალიან ბევრ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. რომ არა საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის გამჭრიახობა და მეცნიერების თანადგომა, შეიძლება არც აშენებულიყო. ხრუშჩოვი ხელისუფლების სათავეში როგორც კი მოვიდა, შეცვალა ქვეყნის ენერგეტიკული განვითარების ის გეზი, რომელიც სტალინის დროს მოქმედებდა და პრიორიტეტი დიდი ჰიდროტექნიკური კომპლექსების მშენებლობას ენიჭებოდა. ხრუშჩოვმა უარი თქვა გიგანტური ჰესების მშენებლობაზე, რადგან ისინი თავისი ხვედრითი კაპიტალდაბანდების მიხედვით უფრო ძვირი გამოდიოდა, ვიდრე ქვანახშირზე მომუშავე სადგურები. მაგრამ საქართველოს ხელმძღვანელობამ ვასილ მჟავანაძის მეთაურობით, ფაქტობრივად „მოატყუა“ ხრუშჩოვი, რათა დაწყებულიყო ენგურის უდიდესი ჰიდროსადგურის მშენებლობა. რადგან კაპიტალდაბანდება თბოსადგურებთან შედარებით დაბალი იყო, ქართველმა მეცნიერებმა, ენგურჰესის პროექტის ავტორებმა ჰესის ერთი კილოვატი სიმძლავრის ღირებულება ოთხჯერ უფრო იაფი გამოიყვანეს, ვიდრე თბოსადგურის იყო, რაც მომხიბლავი აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის გენსეკისთვის. ჩვენმა მეცნიერებმა და ინჟინრებმა დაუმტკიცეს ხრუშჩოვს, რომ ენგურჰესის ანალოგი მსოფლიოში არ არსებობდა და აუცილებლად უნდა აშენებულიყო, რასაც რამდენიმე წელი დაჭირდებოდა. ხრუშჩოვის მოტყუებაში იმას ვგულისხმობ, რომ მაშინ გაცხადებული იყო, ამ 1640 მეგავატიანი ელექტროსადგურის მშენებლობა 212 მილიონი მანეთი დაჯდებოდა, რაც ძალზე იაფია, ენგურჰესის აშენება კი ფაქტობრივად ერთი მილიარდ ასი მილიონი მანეთი დაჯდა, რაც წინასწარ იცოდნენ საქართველოს ხელისუფლებამ, მეცნიერებმა, დამპროექტებლებმა და ინჟინრებმა. ნახეთ, როგორ ჭკვიანურად მოქმედებდნენ ქართველები, გარკვეულ ეტაპამდე იყო ფინანსირება, თანხა რომ ამოიწურებოდა, შედგებოდა დოკუმენტი, რომ გამოჩნდა რაღაც გაუთვალისწინებელი ფაქტორები, გარკვეული ანომალიები, რომელთაც გამოსწორება ჭირდებოდა. ამ მეთოდოლოგიით ხდებოდა მშენებლობის შეჩერება და შემდეგ განახლება. ოფიციალურად ოთხჯერ მოხდა ენგურჰესის მშენებლობის შეწყვეტა, კონსერვაციაზე გადაყვანა, მაგრამ ოთხჯერვე განაახლებინა საქართველოს ხელისუფლებამ. ამ საქმეში მთავარი როლი ვასილ მჟავანაძეს ეკუთვნის, მას მიუძღვის უდიდესი წვლილი, ჯერ ერთი მისი დამსახურება იყო ამ მშენებლობის დაწყება და გადაარჩინა 1964 წელს, სანამ ხრუშჩოვს თანამდებობიდან მოხსნიდნენ, მაშინაც დადგა მშენებლობის კონსერვაციისა და შეჩერების საკითხი. მერე ედუარდ შევარდნაძის დამსახურება იყო, რომ არ გააჩერეს. ნახევრად აშენებული ენგურჰესის მშენებლობა უნდა შეეჩერებინათ, გამოყოფილი იყო პოლიტბიუროს კომისია და მიდიოდა შესწავლა, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ მოახერხა ამ პროცესის შეჩერება და აშენდა სადგური. 1987 წელს კი მივიღეთ იმ სახით, რა სახითაც დღეს გვაქვს.



— ვისი დაფინანსებით აშენდა ენგურჰესი და თუ იყო გათვა-

ლისწინებული გამომუშავებული ელექტროენერგიის გაყოფის საკითხი აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის?

— გაყოფის საკითხი რა თქმა უნდა არ დამდგარა, იმიტომ, რომ ერთიანი სახელმწიფო იყო, ერთი ქვეყნისთვის შენდებოდა და განაწილებაც მთელი ქვეყნის მასშტაბით ხდებოდა. ენგურჰესის გამომუშავებული ელექტროენერგია ერთიანი სისტემისთვის უნდა ყოფილიყო გამოყენებული და განსაკუთრებული როლი უნდა შეესრულებინა ღამის პიკის საათებში დატვირთვის დაფარვის მიზნით. როგორც წესი, ყველა ქვეყანაში ელექტროსისტემა ღამის საათებში განიცდის დატვირთვის მატებას. ენგური იმიტომაც შეირჩა, რომ ის იძლეოდა დაფარვის საშუალებას.. რაც შეეხება მშენებლობის დაფინანსებას, ეს იყო განსაკუთრებული სტრატეგიული დანიშნულების ობიექტი, ამიტომ მთლიანად საკავშირო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა. ასეთი მნიშვნელობის პროექტები საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე მტკიცდებოდა. ვინაიდან ენგურჰესის მშენებლობის ღირებულებამ 300 მილიონ მანეთს გადააჭარბა (300 მილიონი იყო ქვედა ზღვარი), მისი პროექტი საკავშირო მინისტრთა საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა და დამფინანსებელიც ცენტრალური ბიუჯეტი იყო. საქართველოს დაფინანსებაში მონაწილეობა არ მიუღია. საკავშირო ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული კიდევ ერთი ობიექტი გვაქვს, ეს არის ჟინვალის ჰიდროკომპლექსი. როგორც გითხარით, ერთიანი ენერგოსისტემის პირობებში ელექტროენერგიის გამოყენების საკითხი, მომხმარებლების მიხედვით არ იყო დანაწილებული. ამ ერთიანი სისტემის მართვა, დისპეტჩერიზაცია მოსკოვიდან ხდებოდა, იქ იჯდა მთავარი დისპეტჩერი და ანაწილებდა ელექტროენერგიას. საბჭოთა კავშირის პირობებში დღის წესრიგში არ დამდგარა, ენგურჰესი ასრულებდა რეგულატორის როლს ამიერკავკასიის ზონაში, ანუ ამიერკავკასიის რესპუბლიკებსა და რუსეთის სამხრეთი ნაწილში, რომელიც ელექტროენერგიით მომარაგების თვალსაზრისით, ენგურჰესის გავლენის ზონაში იყო. ენგურჰესის გამომუშავებული ელექტროენერგიის გაყოფის საკითხი ოფიციალურად მოგვიანებით, დავით ზუბიტაშვილის საქენერგოს ხელმძღვანელად დანიშვნის (1995 წელი) შემდეგ დადგა. ქართული და აფხაზური მხარეების პირველი შეხვედრა გალის რაიონის ტერიტორიაზე მოხდა, მე, როგორც „ჰიდროპროექტის“ დირექტორი ვღებულობდი მონაწილეობას ამ შეხვედრაში, ზუბიტაშვილს ვახლდი. შევხვდით კონსტანტინე ოზგანს, რომელიც თუ არ მეშლება მაშინ თვითაღიარებული აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. ამ სხდომაზე ელექტროენერგიის გაყოფის კი არა, ენგურჰესის გაჩერების და რეაბილიტაციის აუცილებლობის საკითხი იდგა, თუმცა მერე ეს თემაც წამოიჭრა. ჩვენი ინსტიტუტი იყო ერთადერთი, რომელსაც შეეძლო და აკეთებდა საპროექტო დოკუმენტაციას. ჩვენ ვიყავით ტექნიკური დოკუმენტაციის შემდგენი, დამმუშავებელი, ვადების, როდის უნდა გაჩერებულიყო ჰესი და სამუშაოების ღირებულების განმსაზღვრელი. ოზგანს იმ პერიოდიდან ვიცნობდი გაგრის რაიკომის მდივანი რომ იყო, ნორმალური ურთიერთობა გვქონდა. მან ზუბიტაშვილს უთხრა, თქვენ არ გცნობთ, დღეს გაგიცანით, მაგრამ ამათ ვიცნობ და ვენდობიო, ანიშნა ჩემსა და ნოდარ ემხვარზე, რასაც ესენი იტყვიან, ყველაფერზე მხარს გიჭერთ, თუ რამე უზუსტობა და გართულება მოხდება, პასუხიც ამათ უნდა მოვთხოვოთ, რადგან ამათზე უკეთ ენგურჰესის პრობლემები არავინ იცისო.

ვიმუშავეთ ამ საკითხებზე, არავითარი ჩარევა და ზეწოლა აფხაზური მხრიდან არ ყოფილა. გვირაბის გაჩერების პერიოდში რამდენიმე შეხვედრა კიდევ გვქონდა ოზგანთან, ძალიან კმაყოფილი იყო ჩვენი მუშაობით, ყველანაირად გვიწყობდნენ ხელს. რაც შეეხება ელექტროენერგიის გაყოფის საკითხს, მე განვუმარტე აფხაზურ მხარეს, რომ ასეთი პრაქტიკა არსებობს, მაგრამ სხვადასხვა ქვეყნის პირობებში, როდესაც მოსაზღვრე ქვეყნები მოსაზღვრე ინტერესებიდან გამომდინარე იყოფენ კონკრეტულ ქვოტებს, იმისდა მიხედვით როგორი მოთხოვნილება და შესაძლებლობებია, რაციონალურად როგორ განაწილდება და ა.შ. არსებობს ამის საერთაშორისო მეთოდოლოგია, რომელიც გარკვეულწილად შემდეგ პრინციპებს ემყარება: ძირითადი საშუალებები სადაც არის, იმის პროპორციულად მოხდეს განაწილება; ვინ არის რესურსის მფლობელი და როგორია თვითონ რესურსი, იქნება ეს ქვანახშირი, წყალი თუ ურანი, რომელ ტერიტორიაზე და რა თანაფარდობით მოიპოვება, იმის პროპორციულად ხდება ელექტროენერგიის განაწილება. მესამე პრინციპია მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით და ა.შ. ეს ყველაფერი მოვყევი და ავხსენი იმ შეხვედრაზე, მაგრამ ამის დამადასტურებელი ანგარიშები არ გვქონია, რადგან ეს საკითხი დღის წესრიგში არ იდგა. ამ შეხვედრიდან რომ ჩამოვედით თბილისში, ზუბიტაშვილმა მოახსენა იქ გაჩენილი დავალების შესახებ შევარდნაძეს. სამუშაო არაოფიციალური სახით ჩვენმა ინსტიტუტმა შეასრულა, გაანგარიშება ძირითადი ფონდების მიხედვით 40/60-ზე გამოვიდა, 60 ჩვენს მხარეზე, 40 აფხაზების. შევარდნაძეს უთქვამს ზუბიტაშვილისთვის, დოკუმენტის გარეშე შეთანხმდითო. შემდეგ შეხვედრაზე მოხდა სიტყვიერი შეთანხმება, 40/60-ზე, ე.ი. ენგურჰესის მიერ ყოველდღიურად გამომუშავებული ელექტროენერგიის 40% აფხაზეთში დარჩეს, 60% კი დანარჩენ საქართველოში უნდა წამოსულიყო. სანამ რუსეთი თვითგამოცხადებული აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებდა, ამ პროპორციას იცავდა ჩვენი დისპეტჩერი, რომელიც თბილისში, საქენერგოს შენობიდან ახორციელებდა განაწილებას. ამ ე.წ. აღიარების შემდეგ აფხაზეთს პრეტენზიები გაუჩნდა, მე ქართული მხარისგან განსხვავებით, ელექტროენერგიის ყიდვის საშუალება არ მაქვს, ამიტომ რამდენიც მჭირდება, იმდენი უნდა წავიღო ენგურჰესიდანო. საკითხი ასე რომ დაისვა, რა თქმა უნდ წინააღმდეგობა არავის გაუწევია, მაგრამ მეტნაკლებად 40/60-ის ფარგლებში ნაწილდებოდა. მდგომარეობა მერე გართულდა, რადგან ჰესზე სარემონტო სამუშაოების ჩატარების გამო, ხუთი აგრეგატიდან ხან სამი მუშაობდა, ხან ერთი. სანამ ეს საკითხი დარეგულირდებოდა, აფხაზებმა მოითხოვეს, გამომუშავებული დენი სულ ჩვენ მოგვეცითო და მიჰქონდათ, იმიტომ რომ მართვის პულტი იძლევა ამის საშუალებას, რომელიც გალის რაიონში, საბერიოს ტერიტორიაზეა განთავსებული. მე პირადად ვთვლი, რომ ჩვენი მხრიდან სწორი გადაწყვეტილებაა აფხაზეთის ელექტროენერგიით მომარაგება, არც ჩვენ და არც თქვენო, ეს არ უნდა გავაკეთოთ. ჩვენი ენერგეტიკული სისტემა შერწყმულია აფხაზეთის სისტემასთან და მისი გაწყვეტა შეუძლებელია, რაც არის დადებითი ფაქტორი ქვეყნისა და ერისთვის. ჩვენ ამ შესაძლებლობას ხელიდან არ უნდა გავუშვათ, რაც არ უნდა იყვირონ ოპოზიციონერებმა, აფხაზები უფასოდ იღებენ დენსო. ეს გეზი არ უნდა შევცვალოთ, აფხაზებმა უნდა გაიგონ, რომ ქართული მხარე, საქართველო ზრუნავს მათზე, რასაც აუცილებლად დააფასებენ.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

ეროვნულ ვალუტას ამ პერიოდში სერიოზული საფრთხე არ ემუქრება

გვესაუბრება ანალიტიკოსი ვაჟა ბერიძე:

— ბატონო ვაჟა, ლარი კვლავ გაუფასურდა, მთავრობა გვაიმედებს საშიში არაფერიაო. რეალურად, რა ხდება?

— ლარის კურსი ძალიან აქტუალური და პრობლემურია, განსაკუთრებით, გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის ქვეყანაში, ანუ, იქ, სადაც ეკონომიკას ექსპორტ-იმპორტის აშკარა და უარყოფითი სალდო აქვს. მართალია, მასში ექსპორტის წილი მცირედიდ გაიზარდა, მაგრამ შედარება მაინც არასახარბიელოა. ჩვენ, ვცხოვრობთ რეგიონში, რომლის ეკონომიკური მდგომარეობა, ბოლო პერიოდში, გაუარესდა. ჩვენი ორი დიდი სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორი — რუსეთი და თურქეთი საკმაოდ არასახარბიელო პრობლემების წინაშე დგანან ისევე, როგორც კიდევ ერთი დიდი მეზობელი — ირანი. ირანის ეკონომიკა, აშშ-ს მიერ ინსპირირებული საკმაოდ სერიოზული სანქციების შედეგად, სერიოზული საფრთხეების წინაშეა. იგივე პრობლემა აქვს რუსეთს, რომლის მიმართაც აშშ-სგან სანქციების მეორე ტალღა იგეგმება. რუსეთისა და თურქეთის ვალუტები უფასურდება და ეს უარყოფით ასახვას ჰპოვებს ჩვენს ქვეყანაზე. ერთადერთი გამოსავალი, რა თქმა უნდა, სწრაფი ეკონომიკური ზრდა, ექსპორტის წილის გაზრდა, წარმოების ამოქმედებაა, რისი გაკეთებაც ანუ, არსებითად რაიმეს შეცვლა, რამდენიმე წელიწადშიც კი ძნელია. მაკრო-ეკონომიკური პარამეტრები, თითქოს, არ მოასწავებს ლარის მკვეთრ დრეიფს, მაგრამ ობიექტურად ვიტყვი: ამის აცილება, ნებისმიერი მთავრობის მიერ, შეუძლებელია. რა თქმა უნდა, ბუნებრივია, არჩევნების შემდეგ შესაძლოა მიმოქცევაში ფულადი მასის მოცულობაც გაზრდილი იყოს, რაც სავალუტო ბაზარზე ზეწოლას იწვევს. აქედან გამომდინარე, ეს რყევები დროებითია. ვფიქრობ, უახლოეს მომავალში კურსი დასტაბილურდება თუ მასზე თურქული ლირისა და რუსული რუბლის უარყოფითი სახეცვლილება რაიმე არსებით, გადამწყვეტ მნიშვნელობას არ მოახდენს. ვფიქრობ, მთავრობამ, „ეროვნულმა ბანკმა“ ყველაფერი უნდა გააკეთონ, რათა, პირველ რიგში, საზოგადოებაში ნეგატიური მოლოდინები მოხსნან.

— ბატონო ვაჟა, ლარი ერთხელაც ისე თუ ავარდა, რომ ვეღარ დავასტაბილურეთ, ქვეყანა ხომ ჩამოგვეშლება. ეს საფრთხე არსებობს?

— ასეთი საფრთხე, ჯერჯერობით, არ არსებობს მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ არასახარბიელო საშინაო ეკონომიკური და საგარეო პოლიტიკური ვითარებაა. მით უმეტეს, რომ ექსპორტი მცირედით გაიზარდა, პლუს ემატება ის, რომ ტურისტული სეზონი იწყება. ასეთ ვითარებაში ეროვნულ ვალუტას ამ პერიოდში სერიოზული საფრთხე არ ემუქრება. გარდა ამისა, შემცირებული არ არის საქართველოს მოქალაქეების მიერ გადმორიცხული თანხების მოცულობა არც ევროპიდან, არც რუსეთიდან. სავალუტო შემოდინებები ცოტათი შემცირებულია თურქეთიდან. თუმცა, შესაძლოა თუ მთავრობას რაიმე ფარული გეგმა აქვს, მან, ზაფხულის პროცესების მიჩუმებით ისარგებლოს და ლარი მიუშვას, მაგრამ ეს თვითმკვლელობის ტოლი იქნება, რადგან წელიწადსა და ექვს თვეში არჩევნებია. ეს შეიძლება 2020 წელს არჩევნების წაგებად დაუჯდეთ.

— არჩევნები ახსენეთ, თითქოს, დემოკრატიულად ჩავატარეთ და უცებ, მეორე დღეს ლარი ავტომატურად გაუფასურდა. რა ხდება?

— ამ ორ მოვლენას ერთმანეთს არ დავუკავშირებდი. ეს გლობალური პროცესების შედეგი უფროა, რაც ლარზე აისახება. რა თქმა უნდა, შესაძლოა, საარჩევნოდ დახარჯულმა ფულმა სავალუტო ბაზარზე გარკვეული ზეწოლა მოახდინოს, მაგრამ არა ისეთი, რომ რაიმე უმართავი პროცესი დაიწყოს.

— თურქეთში ლირას გაუფასურებამ გავლენა ჩვენს ლარზეც იქონია. გამოდის ლარი თურქეთის ეკონომიკაზეა მიბმული. რა უნდა გაკეთდეს ამის თავიდან ასაცილებლად?

— თანამედროვე ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში შეუძლებელია რომელიმე ქვეყნის ეროვნული ვალუტა მიბმული არ იყოს სხვა, ძლიერი მეზობლების ან მსოფლიო მოთამაშეების ეკონომიკაზე. ამის ერთადერთი საპირწონე შეიძლება იყოს ეკონომიკის სწრაფი ზრდა. ის, რომ ყოველწლიურად ეკონომიკის მოცულობა 4–5%-ით იზრდება, ვფიქრობ, დადებითი შედეგია. ერთადერთი, ჩვენს დონეზე, სომხეთის ეკონომიკა იზრდება, ოღონდ, გაცილებით მცირე მაჩვენებლებით. ჩვენ, უნდა შევქმნათ წარმატებით ფუნქციონირებადი ინოვაციური ეკონომიკა, მოვამზადოთ კადრები ახალი ეკონომიკისა და მომავლისთვის. ეს ყველაფერი კომპლექსურად არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ჩვენ, უნდა შევძლოთ სოფლის მეურნეობის წილის გაზრდა ქვეყნის ეკონომიკაში, რასაც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის პირველ წლებში დადებითი პირი უჩანდა, მაგრამ შემდეგ ეს პროცესი შენელდა და ახლა გაჩერებულია. ეს არ უნდა მოხდეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების უცხოელებზე გასხვისების დაშვებით. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ამ სექტორიდან ეკონომიკური ზრდა იქნება მეტი, მაგრამ ასეთი კურსის აღება ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს არ შესაბამება. თავის მიწებს ყველა უფრთხილდება: ჩეხეთი, უნგრეთი, პოლონეთი, სლოვენია, სერბეთი და ა.შ. ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ. ერთადერთი იმისთვის უნდა ვიღვაწოთ, რომ ქვეყანაში პირდაპირი ინვესტიციები გაიზარდოს, განსაკუთრებით, პირდაპირი კერძო ინვესტიციები, რაც ბიზნეს გარემოზეა დამოკიდებული. კერძო ინვესტიციების გარეშე ეკონომიკური ზრდის მიღწევა ძნელია. ამიტომ, გასაჭირი სერიოზულია, მაგრამ უნდა შევძლოთ უკან არ წავიდეთ და როგორმე მოვახერხოთ ზრდის მინიმუმ 3–5%-ით უზრუნველყოფა. მაშინ უკვე შესაძლოა სოციალური ფონი გაუმჯობესდეს, შეწყდეს დეპოპულაციის ძალიან დამაზარალებელი პროცესი, რაც გულისხმობს ქვეყნიდან მოსახლეობის უკონტროლო, მასშტაბურ გადინებას. ჩვენ რომც შევძლოთ ეკონომიკის გამოცოცხლება, რასაც კვალიფიციური მუშახელი აუცილებლად დასჭირდება, უკვე ქვეყანაში ადამიანური რესურსი აღარც გვექნება, რადგან მოსახლეობის დაბერების პროცესი დაწყებულია. საქართველოში დარჩენილ მოსახლეობაში ძალიან დიდია 50 და მეტი წელს მყოფი ადამიანების წილი. ასე, უკვე იძულებული ვიქნებით ჩვენი ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ ვიმოქმედოთ, რასაც საკაშვილი ახორციელებდა — იგი, ღია ქვეყნის პრინციპის დანერგვას მოითხოვდა, რაც ქართველმა ხალხმა არ გაიზიარა. ეს მთავრობაც იძულებული იქნება გაიაზროს და გახსნას შრომითი რესურსის ბაზარი. პირველ რიგში, წამოვა არა ინტელექტუალური შრომითი რესურსი, არამედ დაბალკვალიფიციური ადამიანები. სერიოზული პრობლემა შეგვექმნება. რა თქმა უნდა, საზღვრებსაც ვერ ჩავკეტავთ და საქართველოს ნაკრძალად ვერ გამოვაცხადებთ. მაგრამ ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ იქაც, უკონტროლო მიგრაცია მიუღებელია. მოქალაქეთა შემოდინება უნდა იყოს ეროვნული ინტერესების შესაბამისად კვოტირებული. სხვა გზა, ამ ეტაპზე არ ჩანს. გადასაწყვეტია პოლიტიკური საკითხები, აღსადგენია ტერიტორიული მთლიანობა, ასევე, დასამტკიცებელი გვაქვს, რომ დამოუკიდებლობის ღირსნი ვართ, განსაკუთრებით, იმ ვითარებაში, როდესაც თურქეთის პოზიცია, ჯერჯერობით, კეთილმეზობლურია, ირანი სანქციების ქვეშაა, რუსეთი ოკუპანტია, აზერბაიჯანთან ლამის კონფლიქტი წარმოგვეშვას, სომხეთთან, თითქოს, დათბა ურთიერთობა, მაგრამ რეალური წინსვლა არ არის. ასე, რაღაც კუნძულივით, ოაზისივით ვერ გიქნებით. ამ ყველაფერს გათვალისწინება და სუვერენიტეტს დაცვა უნდა, რაც იოლი მისაღწევი არ არის.

— თქვენ ახსენეთ, გამოსავალი სწრაფი ეკონომიკური ზრდააო. ეს როგორ უნდა მოხერხდეს, როცა 70%-ზე მეტი შემოტანილი პროდუქციაა. ნუთუ, არ შეგვიძლია კიტრი, პამიდორი ჩვენი ქვეყნის ვაწარმოოთ?

— თავი არ უნდა მოვიტყუოთ, სახელმწიფო ამ პრობლემას ვერ გადაჭრის, მას შეუძლია მხოლოდ პოლიტიკა შექმნას, რომელიც ამ პროცესს ხელს შეუწყობს. პრემიერი ბახტაზე გამოვიდა ამ თემაზე წინადადებებით — მოხდეს იმპორტის ჩანაცვლება ადგილობრივი წარმოებით. ასეთი მიმართულება მთავრობაში არსებობს, მაგრამ საერთო პოლიტ-ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე რაიმე ხელშესახები შედეგები მიღწეული არ არის, ახლა, ჩვენ სხვა სამყაროში შევედით — ევროკავშირის ასოცირებული წევრები ვართ, ასევე, ჩინეთის უზარმაზარ ბაზართან ვართ მიბმული. ამიტომ, აქ, არამარტო ადგილობრივი წარმოებაა გასამართი, აგრეთვე, საექსპორტო პროდუქციაა საწარმოებელი. ამას ჩვენი დაწვრილერთეულებული საგლეხო მეურნეობა ვერ ახერხებს და ვერც მოახერხებს. ზოგს აქვს 5 ათასი კვადრატული მეტრი მიწა საკუთრებაში, ან 1 ჰექტარი. მან შესაძლოა ბაზრისთვის რაღაც კულტურა მოიყვანოს, მაგრამ ეს ძალიან ცოტაა. საჭიროა ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბება და მიწის ხელშეწყობა. მომეწონა ბახტაძის ინიციატივა. მან თქვა: ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებაზე გადასახადებს გავანულებთო. ეს კარგია, მაგრამ ამას წლები სჭირდება და მყისიერი რეზულტატი არ აქვს. აქედან გამომდინარე, პრინციპები უნდა შეიცვალოს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

დავით ქვლივიძევ, ჩვენ რომ გვარბევდნენ, თქვენ მნვალებლებთან ერთად ლოცულობდით

ინტერვიუ გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამძღვართან, მამა ბასილ მკალავიშვილთან

— მამა ბასილ, თქვენს მოღვაწეობას საქართველოს მართლმადიდებელი საზოგადოება სათანადოდ აფასებს. 23 მაისს საპატრიარქოს ტელევიზიით მღვდელი დავით ქვლივიძის გამოსვლამ საზოგადოება აღაშფოთა. თქვენ მოუსმინეთ დავით ქვლივიძეს?

— ქრისტე აღსდგა!

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

ჩვენთან არს ღმრთი.

ჩემო კარგო, სამწუხაროდ, როგორც მთავრობაში, ასევე საპატრიარქოში ისეთი ქაოსია, ძნელი გასარკვევია, ვინ ვინ არის და ვინ რას აკეთებს. აწმყო გაუსაძლისია, შესაბამისად, მომავალი ბუნდოვანი...

რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, უნიჭო და უცოდინარი მღვდლის ლაყბობა მრევლის წევრის თხოვნით ვიხილე. მართალი გითხრათ, ასეთ უსაფუძვლო, უმიზნო გამოსვლას ყურადღებას არ ვაქცევ. მასზე მეტად სერიოზული საქმით ვარ დაკავებული — ღვთის შემწეობით, ერის, ეკლესიისთვის, მომავალი თაობისთვის ვაკეთებ კეთილ საქმეს. თუმცაღა, შევეცდები, უმეცარი მღვდელი გავარკვიო ეკლესიურ დოგმატებში.

გასაოცარი ის არის, რომ ნაცვლად იმისა, ქვეყანაში და ეკლესიაში უამრავი საჭირბოროტო საკითხის მოგვარებაზე იზრუნონ, უმსგავსმა ქვლივიძემ გამოსვლა ჩემი კრიტიკით დაიწყო — ფარისეველმა მღვდელმა, რომელიც მოკალათებულია ეკლესიაში მომხვეჭელობისთვის და პირადი ინტერესებისთვის. მისთვის სჯულის კანონის ცოდნა, რაც ღვთისგან დაევალა, მისთვის უცხოა. იმდენად უმეცარია, მსმენელს გონება აურია. საუბარში იგი ხან მსოფლიო ეკუმენისტ პატრიარქს ამართლებდა, ხან რუსეთის სამღვდელოებას, ხან უკრაინის ახლადშექმნილ სინოდს. შემდეგ მე მადრიდა მათ. ასევე დასძინა, ეკლესიიდან გამოყოფა არ შეიძლებაო.

რადგან ასეთი ვიწრო გაგების არის, შევახსენებ:

დავით ქვლივიძევ, როცა მე თქვენს სანაქებო საპატრიარქოს დროებით გამოვეყავი, თუ გახსოვს, მაშინ საქართველოს ეკლესია ეკლესიათა მსოფლიო ეკუმენისტურ საბჭოში იყო გაერთიანებული. აქედან გამომდინარე, თქვენ მწვალებლებთან ერთად ლოცულობდით, რაც სჯულის კანონის მიხედვით, აკრძალულია. მე რომ არ დამეწყო თქვენი მხილება, ალბათ, დღესაც მათთან იქნებოდით.

ათეიზმი, სექტანტიზმი, ურწმუნოება მაშინ იკრეფდა ძალას, როცა მრავალი წლის წინ გაფრთხილებდით, მიგეხედათ აგენტურული საქმიანობით საქართველოში შემოგზავნილი იეღოველთა სექტისთვის. გაფრთხილებდით, ბოლოს ისინი თქვენ კარებს შემოაღებენ-მეთქი. თქვენში კი ურწმუნოება კვლავ მძვინვარებდა — როცა ღვთივკურთხეული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია გააძევეთ და საპატრიარქოს ეზოში ნადიმი გადაიხადეთ. იმაზე მეტი ურწმუნოება შეიძლება, როცა სპორტის სასახლეში პუტჩისტები დალოცა ეკლესიამ და შემდეგ სამეგრელო ააოხრეს? სისხლისმღვრელმა, ქართველთმოძულე ე.წ. პრეზიდენტმა სააკაშვილმა, რომელსაც თქვენ დავით აღმაშენებელს ადრიდით და სახელოვან პრეზიდენტს უწოდებდით, დღესაც რომ მისტირის ეპისკოპოსთა დიდი ნაწილი. კაცს, რომელმაც ხალხის მიერ სასოებით აგებული გრანდიოზული ტაძარი დაარბია, დიდ მარხვაში ღამენათევი მრევლი ააწიოკა და 10 კაცი ციხეში გამოგვამწყვდია. მაშინ დუმდა ერი და ბერი, მაშინ დუმდით თქვენც, როცა მართლმადიდებელი აკადემიკოსი ბატონი გურამ შარაძე ქალაქის გულში უმოწყალოდ დახვრიტეს. ათეიზმის ზეობა არ არის, როცა ანტიდისკრიმინაციული კანონი დაამტკიცა პარლამენტმა და თქვენ კვლავ გატრუნული იყავით, ვითომდა მღვდელო ქვლივიძევ?..

ეკლესია ერის სახეა. სამწუხაროდ, რაც დღეს ეკლესიის წიაღში ხდება, ყველამ უწყის. კიდევ ბევრს გვითმენს უფალი და ყოვლადწმიდა დედა ღმრთისმშობელი. არ მინდოდა შემეხსენებინა თქვენთვის ყოველივე. ვარ ჩემთვის, მრევლთან ერთად, ვშრომობთ, ვადიდებთ უფალს. თქვენ მაიძულეთ, კვლავ გამხილოთ.

დავით ქვლივიძეს ჩემი ცხოვრება თუ აინტერესებს, მოვუყვები: მოყოლებული 1978 წლიდან, კომუნისტების მძიმე რეჟიმის დროს ეკლესიებს ვაშენებდი და ხალხს უფლის სიტყვას ვასწავლიდი. დღესაც ამ საქმიანობით ვარ დაკავებული.

თქვენ დედა ეკლესიას — საპატრიარქოს უწოდებთ და უწოდებდით. სინამდვილეში, დედა ეკლესია არის თვით უფალი და ის მცნებები და დოგმატები, რომელიც იესო ქრისტემ და მისმა მოციქულებმა გვიქადაგეს, რომელიც დამტკიცდა მსოფლიო 8 საეკლესიო კრებაზე წმიდა მამათა მიერ. ჩვენ დედა ეკლესიის შვილნი ვიყავით, ვართ და ვიქნებით.

მოვიშველიებ მარკოზ ეფესელის სიტყვებს: „მე გამოვეყავი მხოლოდ მწვალებლობას“. ამ წმიდა მამის მიბაძვით, იოტისოდენადაც არ გადამიხვევია ეკლესიური მცნებებიდან.

თქვენ ამპარტავანს მიწოდებთ. იქნებ, იმიტომ ვარ ამპარტავანი, რომ თითქმის მთელი ცხოვრება 40 წლის „24“ მარკის ავტომობილით სამშენებლო მასალებს ვეზიდები და თქვენსავით ჯიპით არ დავგრიალებ?

თქვენ მიგესადაგებათ სიტყვები წმიდა სახარებიდან: „ვითარმედ ერი ესე ბაგითა მათითა პატივს-მცემს მე, ხოლო გულნი მათნი განშორებულ არიან ჩემგან, ამაოდ მსახურებენ მე“. ჩვენ გულით, სულით, მთელი არსებით, საქმით ვმსახურებთ უფალს. ასე რომ, გირჩევთ, მეტი დრო კეთილი საქმის აღსრულებას დაუთმეთ. იქნებ, გეხილათ თქვენს წიაღში მოკალათებული კორუმპირებული სამღვდელოება, რომლებიც ათასნაირ ბიზნესში არიან ჩართულნი, გასხნილი აქვთ სხვადასხვა სავაჭრო პუნქტები. კვლავ შეგახსენებთ სჯულის კანონს: „სასულიერო პირს არა აქვს უფლება სავაჭრო სახლი (ფარდული, დუქანი) ჰქონდეს“, იქნებ, ის ე.წ. სასულიერო პირნი გემხილათ, რომელნიც მართლმადიდებლობის დაცვას არას დაგიდევენ, მხოლოდ სამარცხვინოდ, მტრის გულის გასახარად, ერთმანეთის დაპირისპირებით და განქიქებით არიან დაკავებულნი. მე ამ კატეგორიას არ განვეკუთვნები, ის დროც კი მენანება, რომელიც თქვენი შეგონებისთვის დავკარგე. საღად მოაზროვნე საზოგადოებამ უწყის, ვინ რას წარმოადგენს ამ ცოდვილ დედამიწაზე.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და შევეხო ტელეკომპანია „ხარისხის არხის“ მესვეურთ. შევაგონებ გიორგი ასათიანს, დავით გიორგობიანს: თქვე კაი დედმამიშვილნო, ეკლესიურ დოგმატებზე რომ გვესაუბრებით, პირჯვრის გადაწერას გვასწავლით, იქნებ საპატრიარქოსთვის გესწავლებინათ, ფაქტობრივად, ერს რომ პატრიარქის ნაცვლად სახავენ პირჯვარს.

თუ ობიექტურნი ბრძანდებით, რატომ არ აღნიშნავთ, რასაც ხედავთ (ან შეგნებულად არ გინდათ დაინახოთ), რას ჩადის ეპისკოპოსთა ნაწილი, როგორ დაშორდნენ უფალს პირადი გამდიდრების მანიით შეპყრობილნი. ამით ხომ ერი ბრკოლდება. ზედაპირული ფრაზებით რომ შემოიფარგლებით, თუ ობიექტურნი ხართ და რეალობას თვალს უსწორებთ, მოდით ერთხელ გლდანში, ახმეტელის თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე და იხილეთ ყოველივე. გამოდით ხალხში. თქვენ რომ მხოლოდ ჩემი განკითხვით შემოიფარგლებით, ეს არ არის ქრისტიანობა.

— მამაო, თქვენი აზრით, როგორია გამოსავალი იმ სიტუაციიდან, რომელშიც დღეს აღმოვჩნდით?

— არ იფიქროთ, ვინმეს მიმართ ნიშნის მოგებით ვსაუბრობდე. ეკლესიაში დღევანდელ ურთულეს ქაოსს ძლიერი ხელი სჭირდება. რეალობა, რაც უნდა მწარე იყოს, თვალი უნდა გავუსწოროთ. სასულიერო პირნი თავის ნებაზე არიან მიშვებულნი და თვითნებურად მოქმედებენ. სამარცხვინო მდგომარეობაა ეკლესიაში. ეკლესიას სჭირდება ძლიერი პატრიარქი, რომელიც იმოქმედებს დიდი სჯულის კანონით და ეკლესიას, ფუფუნებისკენ მიდრეკილს, სულიერი აღზევებისკენ შემოაბრუნებს, ყველას და ყოველივეს თავის ადგილს მიუჩენს, დაამყარებს ღვთიურ წესრიგს და სათანადო პასუხს მიაგებს მართლმადიდებელთა მტრებს, რომელთა რუპორია „რუსთავი-2“ და ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც სოროსისგან ფინანსდებიან და შესაკრებელი არიან ქრისტეს მტრების, უზნეოთა, უმსგავსოთა.

მაგრამ რა გასაკვირია, ასეთი დღეები რომ გვიდგას. სანამ საქართველოს მორწმუნე ხელისუფალი არ ეყოლება, მსგავსი დავითისა, თამარისა, ვახტანგ გორგასლისა და სხვა დიდებულთა, ჩვენ ღმერთს ვერ მივუახლოვდებით. ხელისუფალნო, მოსაჩვენებლად ნუ დაიჭერთ ანთებულ კელაპტრებს. უფალი ყველას გულის განმხილველია. ღმერთს მინდობილი ადამიანი ყველაზე ძლიერია. ნუ შეგაშინებთ ამერიკა, დასავლეთი, ან სხვანი და სხვანი. მე, უფალს მინდობილი, მარტო ვებრძოდი მსოფლიოს ანტიქრისტე მოციქულებს. მართალია, ჯანმრთელობა შემერყა, მაგრამ უფლის წინაშე პირნათელი ვარ.

იცოდეთ, ყოველივე ღმერთს ემორჩილება, ყოველივეს ღმერთი განაგებს!

მხოლოდ ღმერთი გადაგვარჩენს!

უფალმა დაგლოცოთ.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

2007 წელს ალიევმა დავით გარეჯი ალბანური კულტურის ძეგლად გამოაცხადა, სააკაშვილმა ილჰამ ალიევს მაშინ ძეგლი დაუდგა

გვესაუბრება ორგანიზაცია „ევრაზიის ინსტიტუტის" დამფუძნებელი, ბატონი გულბაათ რცხილაძე

— „მე არ მექნება დიალოგი პუტინთან, მე მხოლოდ შევახსენებ მას, რომ მან დაარღვია ყველა ვალდებულება. ყველა პირობა დაარღვია, როგორც საქართველოს მეზობელმა — ყველა ხელშეკრულება, რომლებიც ტერიტორიულ მთლიანობას ეხება და ის დაპირებაც, რაც მან 2008 წლის ომის შემდეგ მოგვცა". ეს არის საქართველოს პრეზიდენის სალომე ზურაბიშვილის ინტერვიუს ფრაგმენტი, რომელიც მან ახლახან ესტონეთის ტელევიზიას მისცა. ანუ ჩვენ კვლავაც „გაბუტული" ვართ რუსეთზე... რა პერსპექტივები ისახება ამ ფონზე?

— პრეზიდენტი იძულებულია, ანგარიში გაუწიოს საქართველოს შიდაპოლიტიკურ კონიუნქტურას, თანაც მან ინტერვიუ მისცა რუსეთისადმი კრიტიკულად განწყობილი ესტონეთის ტელევიზიას, თორემ ქალბატონმა სალომემ ძალიან კარგად იცის, რომ პუტინს არანაირი ვალდებულება არ აქვს აღებული საქართველოს წინაშე. პირიქით, რასაც დაპირდა საქართველოს, პუტინმა შეასრულა — გააუქმა სავაჭრო ემბარგო და შეამსუბუქა ჩვენი მოქალაქეების სავიზო მიმოსვლა რუსეთის ფედერაციაში. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო, რომ რუსეთი არ ითხოვს ჩვენგან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას.

ტერიტორიული პრობლემა ძალზე რთული მოსაგვარებელია, მაგრამ მისი მოგვარება ცოტა უფრო შორეულ მომავალში სულაც არ არის შეუძლებელი, თუკი საქართველო რუსეთთან ჩამოაყალიბებს ნდობის ატმოსფეროს.

მიმაჩნია, რომ მიუხედავად დროდადრო ხისტი განცხადებებისა, დღევანდელ ხელისუფლებაში პრეზიდენტი ზურაბიშვილი ყველაზე ადეკვატური პიროვნებაა. იგი არ არის რუსოფობიით დაავადებული. ვიცი, რომ ქალბატონი სალომე მზად არის, ძალზე რადიკალური ზომები გაატაროს საქართველოს სასიკეთოდ, თუკი რუსეთი გარკვეულ პოლიტიკურ ნაბიჯებს გადმოდგამს, თუმცა სამისოდ საქართველომაც უნდა იღონოს რამე. ამ დროს კი, თავდაცვის სამინისტრო, უაღრესად ნეგატიურ როლს ასრულებს ამ მხრივ და ყველანაირად უწყობს ხელს რუსეთთან ურთიერთობების დაძაბვას.

— მოგეხსენებათ, ჩრდილო კავკასიას რუსეთის სუსტ რგოლს უწოდებენ, ამის მიუხედავად თუ საპირისპიროდ, წინა მთავრობის მმართველობისას საქართველოში ჩეჩენი ბოევიკების ყრილობა გაიმართა. იყო შემთხვევები, როცა საქართველოს კონსული თურქეთში ჩეჩენ ბოევიკებს ვიზებს აძლევდა საქართველოს გავლით რუსეთსა და აზერბაიჯანში მოსახვედრად.

ცნობილი აჩმეზ გოჩიაევიც და აჰმედ ჩატაევიც მოძრაობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. რა ხდება ამ მიმართულებით?

— დიახ, იმის შესახებ არაერთხელ მითქვამს, რომ ხელისუფლება ვერ აკონტროლებს ვითარებას იდეოლოგიურ ფრონტზე, რომელიც არის მთავარი: ბოევიკებად და ტერორისტებად არ იბადებიან, ასეთებად ყალიბდებიან გარკვეული იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური დამუშავების შემდეგ. სწორედ ეს პრობლემა დგას პანკისის ხეობაში და, თუ გახსოვთ, სირიაში აჭარიდანაც არიან ეთნიკურად ქართველი ტერორისტები. რას ნიშნავს ეს? — ნიშნავს იმას, რაც ვთქვი — ხელისუფლებას წაგებული აქვს მუსლიმ ახალგაზრდებთან იდეოლოგიური მუშაობა. მეტიც, ასეთი მუშაობა საერთოდ არ გატარებულა, ხელისუფლება და სპეცსამსახურები მხოლოდ იმ მომენტში „იღვიძებენ", როდესაც იარაღიანი ხალხი გამოჩნდება თბილისსა თუ სხვა ქალაქებში. აი, მაშინ კი, ბატონო, ტარდება სპეცოპერაციები. ისანში სისხლი დაიღვარა, ტერორისტებთან ბრძოლაში დაიღუპა სპეცნაზელი... მაგრამ რა გაკეთდა ან მანამდე, ან მას შემდეგ ტერორისტულ იდეოლოგიასთან ბრძოლის მიზნით? — არც არაფერი. სანამ ამ პრობლემას არ მივუდგებით პროფესიონალურ დონეზე და არ ვაღიარებთ, რომ პრობლემა სწორედ აქედან იწყება, არაფერი შეიცვლება, პირიქით, ვითარება თანდათან დამძიმდება.

— შეუძლებელია, გვერდი ავუაროთ გამწვავებულ საკითხს დავით გარეჯთან დაკავშირებით.საზღვრის დემარკაციის თემებზე აზერბაიჯანში შეხვედრაც იმართება, სადაც ქართული მხარე, თავისი კონფიდენციალურობით და მოსახლეობის არაინფორმირებულობით, შეშფოთებას იწვევს. თქვენი აზრით, გვაქვს განგაშის საფუძველი?

— გეთანხმებით, საქართველოს ხელისუფლება პასიურია ამ საკითხში. სამწუხაროდ, ქართულ დიპლომატიაში დამკვირდა ტრადიცია, რომ სადავო საკითხების გარშემო საქართველო, პრაქტიკულად, ყოველთვის მიდის ცალმხრივ დათმობებზე. ოღონდ რუსეთი არ იყოს და, ყველაფერს თმობს როგორც ეს ხელისუფლება, ისე თმობდნენ სააკაშვილის და შევარდნაძის ხელისუფლებები.

რაც შეეხება აზერბაიჯანთან დავით გარეჯის საკითხს, სამწუხაროდ, საბჭოთა პერიოდში ისე გაივლო საზღვარი, რომ ქედსიქითა ორი მონასტერი — ბერთუბანი და ჩიჩხიტური აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოექცა. ამ კოზირს აზერბაიჯანი იყენებს. 2007 წელს ილჰამ ალიევმა დავით გარეჯს მიანიჭა „ალბანური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის" სტატუსი და დირექცია, ადმინისტრაცია დანიშნა მონასტერში. ეს იყო სააკაშვილის მლიქვნელური პოლიტიკის შედეგი — საქართველოში ალიევის მამას ძეგლებს უდგამდა, აზერბაიჯანს კი წაუყრუა ცალმხრივი ნაბიჯი. შევარდნაძის დროს იყო მცდელობა, ბაქო წამოსულიყო დათმობაზე და ტერიტორიების გაცვლის გზით დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი მთლიანად გადმოსულიყო საქართველოს სუვერენიტეტის ქვეშ (აწ განსვენებული ვალერი ჩხეიძის დიდი შრომა ჩაიდო ამ საქმეში), მაგრამ აზერბაიჯანს ეს არ აწყობს, რადგან თავს ისტორიული ალბანეთის მემკვიდრედ აცხადებს.

სომხებთან დავაში აზერბაიჯანელები ამტკიცებენ, რომ ყარაბაღის სომხური ტაძრები სინამდვილეში ალბანურია...

შედეგად, ბაქოს არანაირად არ ეთმობა დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ის ნაწილი, რომელსაც იგი დე-ფაქტო აკონტროლებს საბჭოთა რუკების საფუძველზე და იგი არ არის მზად, თუნდაც საქართველომ უფრო ნოყიერი და დიდი ფართობი დაუთმოს მონასტრების სანაცვლოდ და მან ეს ტერიტორია დათმოს.

საქართველოს ხელისუფლება არ იყენებს იმ უპირატესობებს, რომლებიც საქართველოს აქვს აზერბაიჯანის წინაშე, თუნდაც გეოგრაფიული. აზერბაიჯანი ჩვენი ტერიტორიის ტრანზიტად გამოყენების გარეშე, თავისი ნავთობით და გაზით მთლიანად რუსეთზე ხდება დამოკიდებული, მისი ამბიციები მყისიერად იქცევა ნაცარტუტად. მაგრამ რას შვრება საქართველოს ხელისუფლება, რამე ბერკეტს იყენებს დავით გარეჯზე ზემოქმედებისათვის? პირიქით, ყველა მიმართულებით სისუსტეს ავლენს. მაგალითი: ყარსი-ახალქალაქი-ბაქოს რკინიგზა. კონსორციუმმა ლიანდაგების სტანდარტების შეცვლის თაობაზე გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობის გარეშე მიიღო, ამით საქართველოში ასეულობით თუ არა, ათეულობით მაინც, სამუშაო ადგილები შემცირდა.

მთავრობა ხმას არ იღებს და სტანდარტულ ფრაზებს ისვრის აზერბაიჯანთან „მეგობრობის" თაობაზე. მეგობრობას მეც ვემხრობი და მაქვს ჩემი მოსაზრება, თუ როგორ უნდა მოგვარდეს დავით გარეჯის პრობლემა.

— **კერძოდ?**

— კერძოდ, ყურადღება არა ტერიტორიებზე, არამედ სამონასტრო კომპლექსის ერთიანობაზე უნდა გამახვილდეს. დავუდასტუროთ აზერბაიჯანს ქედსიქითა ტერიტორიებზე სუვერენიტეტი, ოღონდ იმ პირობით, რომ გარანტირებული იქნება თავისუფალი მიმოსვლა სამონასტრო კომპლექსის მთელ ტერიტორიებზე — სასულიერო პირებისთვის და ტურისტებისთვის. დაე, აზერბაიჯანულმა მხარემაც მოიყვანოს ტურისტები, თუ სურს, და ქართულ მხარესაც გადმოვიდნენ დასათვალიერებლად, საპასპორტო კონტროლის გარეშე, მონასტრის განსაკუთრებული სტატუსიდან გამომდინარე. ეს იქნება საკითხის გონივრული და სამართლიანი მოგვარება, მაგრამ ვეჭვობ, რომ ამას ვინმე ხვდებოდეს.

— დაბოლოს, არ შემიძლია არ გკითხოთ ყარსის ხელშეკრულების ვითომდა ამოქმედების თაობაზე. საზოგადოება შეშფოთებულია, ხელშეკრულებას ვადა გასდის და თურქეთი, ამჯერად, არა რუსეთისგან, არამედ საქართველოსგან მოითხოვს დაკარგულ ტერიტორიებსო. რამდენად რეალურია ეს შიში?

— ყარსის 1921 წლის 13 ოქტომბრის ხელშეკრულება, რომელიც იმეორებს რუსეთ-თურქეთის მოსკოვის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულების ძირითად დებულებებს, ინტეგრირებულია თურქეთ-საქართველოს 1992 წლის ჩარჩო-ხელშეკრულებაში. ყარსის ხელშეკრულებას არანაირი ვადა არ გასდის და მასში მკაფიოდ არის გაწერილი პირობები, რომლებსაც ხელს აწერენ თურქეთი, საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები. ხელშეკრულების მე-6 მუხლის მიხედვით, თურქეთი ცალსახად აღიარებს საქართველოს სუვერენიტეტს ბათუმის ოლქზე, ოღონდ გარკვეული პირობით — ოლქის ფართო ადმინისტრაციული ავტონომიის შენარჩუნებით. საუბარია ადგილობრივი მოსახლეობის რელიგიურ და კულტურულ თავისუფლებებზე. ამავე მუხლში მოძველებული პუნქტებიც არის, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებამ, პრაქტიკაში, ნულამდე დაიყვანა და თურქეთს დღეს ვეღარ ექნება იმაზე პრეტენზია, რაც თითქმის ასი წლის მანძილზე აღარ არსებობს პრაქტიკაში (ბათუმის პორტით უბაჟო სარგებლობა თურქებისათვის, მიწის განსაკუთრებული კანონი და მისთ.). მაგრამ, ვიმეორებ, გავრცელებული მითი იმის შესახებ, რომ, თითქოს, ყარსის ხელშეკრულებას ვადა გასდის 2021 წელს, არ შეესაბამება სინამდვილეს, ასეთ პუნქტს, დათქმას, ხელშეკრულება არ შეიცავს.

ისე კი დავძენ, რომ აჭარის უსაფრთხოებისათვის დიდი დარტყმის მიყენება იყო 2006 წელს რუსული სამხედრო ბაზის ლიკვიდირება. ეს სამხედრო ბაზა აჭარაში სტრატეგიულად აკავებდა თურქეთს, საქართველოს კი არანაირ პრობლემას არ უქმნიდა. რუსული ბაზა არ ჩარეულა ჩვენს შიდაპოლიტიკურ ბატალიებში 2004 წელს. სამაგიეროდ, ახლა უკვე თურქეთს აქვს სტრატეგიული ინიციატივა ყოველგვარი ყარსის ხელშეკრულების გარეშეც.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

სპარსეთის ყურე ქარიშხლის მოლოდინში

სპარსეთის ყურის რეგიონი კვლავ რჩება მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრში. გარდა იმისა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რეგიონში უკვე გადაისროლა სამხედრო საზღვაო ფლოტის გემები, რომლებიც მძიმე შეიარაღებით არიან აღჭურვილნი, სპარსეთის ყურეში ასევე იმყოფება მრავალათასიანი სამხედრო მოსამსახურეთა შემადგენლობა. აშშ-ის მხარე რეგიონში თითქმის ყოველდღიურად ზრდის ცოცხალ ძალას. უქმად არც ირანელები არიან, ვის წინააღმდეგაც არის ახლო აღმოსავლეთში გადასროლილი დიდი სამხედრო ძალა. გასულ კვირას ირანელებმა კვლავ მოუწოდეს აშშ-ის მხარეს,

შეწყვიტოს საომარი რიტორიკა. ირანის მხარის მტკიცებით, ისინი მზად არიან, მოიგერიონ ნებისმიერი აგრესია. გასულ კვირას ირანელები თავად დაემუქრნენ აშშ-ს — უკიდურეს (საბრძოლო მოქმედებების დაწყების) შემთხვევაში, გამოიყენებენ მათ არსენალში არსებულ ჯერ კიდევ საიდუმლო იარაღს. „თქვენი სანაქებო გემების და მათ შორის ავიამზიდის ჩასაძირად და გასანადგურებლად ჩვენი ორი რაკეტაც იქნება საკმარისი“, — დაემუქრნენ აშშ-ს ირანელი სამხედრო მაღალჩინოსნები.

საბედნიეროდ, რეგიონში აქტიური საბრძოლო მოქმედებების დაწყება არ შეინიშნება, თუ არ ჩავთვლით სამხედრო ძალების კონცენტრაციას. მიუხედავად ამისა, ექსპერტები შეშფოთებულები არიან მსგავსი რიტორიკით, მათთვის უცნობია, რა საიდუმლო იარაღზე ალაპარაკდა ირანი. გაუგებარია, ბირთვული იარაღის გამოყენებით იმუქრებიან თუ ძლიერი მოქმედების რაკეტებით. ასევე გაუგებარია, სახმელეთო თუ საზღვაო დანიშნულების რაკეტებით იმუქრებიან ირანელები.

საბრძოლო მოქმედების დაწყების შემთხვევაში, ექსპერტების ვარაუდით, რეგიონიდან უამრავ ახალ დევნილს მიიღებს სამყარო. მათივე მტკიცებით, განსაკუთრებუით მძიმე მდგომარეობა ამიერკავიასიაში და თურქეთში შეიქმნება, რადგან დევნილთა მასა სწორედ ამ რეგიონებში გადმოვა. „რუსეთს ეს საფრთხე არ ელოდება, რადგან საზღვრები საიმედოდ აქვს ჩაკეტილი“, — აცხადებს ისრაელელი სამხედრო ექსპერტი იაკობ კედმი. ასევე ვაუარდობენ, რომ მშვიდობიან დევნილებს ტერორისტული დაჯგუფებების შეიძლება წევრებიც შემოყვნენ. სამხედრო ექსპერტების შეფასებით, ირანთან საბრძოლო მოქმედებების დაწყება შესაძლოა, ხანგრძლივ ომში გადაიზარდოს, რომლის შედეგების პროგნოზირებასაც ერიდებიან. იმას კი ამბობენ, მსხვერპლი არნახულად დიდი იქნებაო. რას მოიმოქმედებს აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, დაიწყებს დიალოგს ირანთან თუ საომარი რიტორიკიდან აქტიურ საბრძოლო მოქმედებების დაწყების ბრძანებას გასცემს, მომავალში გამოჩნდება, მისი სვლების პროგნოზირება ხომ შეუძლებელია.

სპეცპროკურორ მიულერის დასკვნის გამოქვეყნების მიუხედავად, აშშ-ში „კუდიანებზე ნადირობა“ კვლავ გრძელდება. გასულ კვირას დემოკრატმა კონგრესმენებმა შიდა პარტიულ შეხვედრაზე ტრამპის იმპიჩმენტის გამოცხადების თაობაზე ისმჯელეს. მათი განცხადებით, პრეზიდენტი რეალობას უმალავს. როგორც ირკვევა, რუსეთთან კავშირების ძებნა კვლავ გრძელდება. განაწყენებულმა დონალდ ტრამპმა დემოკრატ კონგრესმენებთან შეხვედრა გააუქმა. მისივე განცხადებით, მათთან თანამშრომლობას აღარ აპირებს. პოლიტოლოგების გაოცება გამოიწვია მისმა სიტყვებმა: „...რუსეთთან არ ვაპირებ თანამშრომლობას, ყოველივე ეს სიცრუეაო“. ეს მაშინ, როდესაც სახელმწიფო მდივანი მაიკლ პომპეო სულ ახლახან იმყოფებოდა რუსეთში, სადაც ერთ-ერთი საკითხი სწორედ ტრამპი-პუტინის პირისპირ, ერთი-ერთზე შეხვედრის დაგეგმვა იყო. გაუგებარი დარჩა, ტრამპმა ცხელ გულზე განაცხადა თუ არა, მაგრამ პოლიტოლოგების შეფასებით, ქვეყანა, ფაქტობრივად, საკონსტიტუციო კრიზისშია შესული. ენაკვიტამტა მიმომხილველებმა დონალდ ტრამპს „ავთვისებიანი ნარცისიზმის“ დიაგნოზი დაუდგინეს.

აგორებული სავაჭრო ომი კი კვლავ გრძელდება. ჩინურ „ჰუავეისთან“ ბრძოლაში დიდი ბრიტანეთიც ჩაერთო და ქვეყანაში აკრძალა კორპორაციის მიერ წარმოებული პროდუქციის გაყიდვა. სავაჭრო ომის გამო ჩინეთის მმართველმა სი ძინ პინმა ქვეყანაში ვოიაჟი განახორციელა და პირადად გაეცნო პერიფერიებში არსებულ ეკონომიკურ ვითარებას. მისი განცხადებით, სასვაჭრო ომი თავად აშშ-ს ცუდად შეუტრიალდება. აშშ-ს ჩინელები ვალში არ რჩებიან და თავადაც უწესებენ შეზღუდვებს. აღსანიშნავია, რომ აშშ-ის მოკავშირე ქვეყნებმა მსხვილი კორპორაციების უმრავლესობის ნაწილი უარს ამბობს ჩინეთთან სავაჭრო ომში ჩაბმაზე. კანადისა და ევროკავშირის ქვეყნების გარდა, გასულ კვირას „ჰუავეისთან“ კავშირის გაწყვეტაზე უარი იაპონურმა მსვილმა კორპორაციამ „პანასონიკმა“ განაცხადა. ექსპერტების განმარტებით, აშშ

ველებმა დონალდ ტრამპს „ავთვისებიანი ნარცისიზმის“ დიაგნოზი დაუდგინეს.

აგორებული სავაჭრო ომი კი კვლავ გრძელდება. ჩინურ „ჰუავეისთან“ ბრძოლაში დიდი ბრიტანეთიც ჩაერთო და ქვეყანაში აკრძალა კორპორაციის მიერ წარმოებული პროდუქციის გაყიდვა. სავაჭრო ომის გამო ჩინეთის მმართველმა სი ძინ პინმა ქვეყანაში ვოიაჟი განახორციელა და პირადად გაეცნო პერიფერიებში არსებულ ეკონომიკურ ვითარებას. მისი განცხადებით, სასვაჭრო ომი თავად აშშ-ს ცუდად შეუტრიალდება. აშშ-ს ჩინელები ვალში არ რჩებიან და თავადაც უწესებენ შეზღუდვებს. აღსანიშნავია, რომ აშშ-ის მოკავშირე ქვეყნების მსხვილი კორპორაციების უმრავლესობის ნაწილი უარს ამბობს ჩინეთთან სავაჭრო ომში ჩაბმაზე. კანადისა და ევროკავშირის ქვეყნების გარდა, გასულ კვირას „ჰუავეისთან“ კავშირის გაწყვეტაზე უარი იაპონურმა მსვილმა კორპორაციამ „პანასონიკმა“ განაცხადა. ექსპერტების განმარტებით, აშშ ტექნოლოგიურ შანტაჟს ეწევა. ჩინელებმა ქვეყანაში აკრძალეს „ჰუავეის“ ამერიკული კონკურენტის „ეპოლის“ პროდუქციის გაყიდვა. საინტერესოა, რომ აკრძალვის წინააღმდეგ თავად „ჰუავეი“ გამოვიდა. კორპორაციის ხელმძღვანელებმა მოუწოდეს ხელისუფლებას, გააუქმონ დადგენილება, რადგან ისინი ჯანსაღი კონკურენციისა და თანამშრომლობის მიმდევრები არიან.

ამასობაში დონალდ ტრამპი ოთხდღიანი ოფიციალური სამუშაო ვიზიტით იაპონიაში იმყოფებოდა. განსახილველი საკითხები იაპონიის პრემიერ-მინისტრ სინძო აბესთან, სავარაუდოდ, ბევრი ჰქონდა. ტრადიციულად, საუბრის დეტალები საიდუმლოდ რჩება. ექსპერტების ვარაუდით, ორ ლიდერს განსახილველი თემა მრავლად დაუგროვდათ, მათ შორის, აგორებული სავაჭრო ომი, ჩრდილოეთ კორეის, ირანის, ჩინეთის ზღვის აუზის საკითხები. ტრამპის ვიზიტის შედეგებზე ჯერ ნაადრევია საუბარი. თუმცა, ესპერტები აღნიშნავენ, რომ დონალდ ტრამპმა, შესაძლოა, მოლაპარაკებისას ერთი პირობა დადოს, მაგრამ საქმით სხვა გააკეთოს.

„ამომავალი მზის“ ქვეყანაში ტრამპის ვიზიტზე ცნობილია, რომ იგი შეხვდა ქვეყნის იმპერატორს, აბესთან ერთად გოლფი ითამაშა (ანგარიში უცნობია), დაესწრო სუმოს ჭიდაობას. როგორც ხედავთ, ტრამპი გართობას უფრო დიდ დროს უთმობს, ვიდრე ოფიციალურ მოლაპარაკებებს.

„ბებერი ქალბატონის“ კონტინენტზე კი ევროსაპარლამენტო არჩევნები დასრულდა. საინტერესოა, რომ არჩევნებში ბრიტანეთიც მონაწილეობდა, რადგან ვერ მოასწრეს „ბრექსიტის“ (ევროკავშირიდან გასვლა) განხორციელება. „ბრექსიტის“ ვადა მათ შემოდგომამდე აქვთ და ევროკავშირიდან გასვლის შემთხვევაში მათ მანდატების 50%-ის დატოვება მოუხდებათ. ევროკავშირის ქვეყნებში ევროსაპარლამენტო არჩევნებზე ამომრჩეველა რეკორდული აქტივობა დაფიქსირდა და 50%-ს გადააჭარბა. მსგავსი აქტივობა ბოლო 30 წლის განმავლობაში არ ყოფილა. გამართლდა პოლიტოლოგების პროგნოზი — ევროპარლამენტში ადგილების მეოთხედზე მეტი ევროსკეპტიკოსებმა და მემარჯვენეებმა მიიღეს. ექსპერტების განცხადებით ევროკავშირს და ევროპარლამენტს „ევრორემონტი“ ელოდებაო. აღნიშნული ფაქტი დამაფიქრებელი უნდა იყოს საქართველოს ხელისუფლებისთვისაც. პოლიტოლოგების ვარაუდით ევროსაბჭოშიც და ევროკავშირშიც არათუ ცვლილებები, რყევებია მოსალოდნელი. ამის თქმის საფუძველს ექსპერტებს ევროპარლამენტში შესული ახალი პოლიტიკური პარტიების სამოქმედო პლატფორმები აძლევთ. ფრანგი მარი ლე პენი, რომელიც ემანუელ მაკრონის კონკურენტი გახლდათ საპრეზიდენტო არცევნებზე, ქვეყნებში ეროვნული კურსის გატარების მომხრეა. უნგრეთის, გერმანიის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები, მათ შორის, სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებიც, მიგრანტების წინააღმდეგ არიან განწყობილი. გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელსაც შეერყა პოზიციები ევროკავშირში, თუმცა უმნიშვნელოდა. რაც შეეხება დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ტერეზა მეის, იგი სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. შიდა პოლიტიკური დაპირისპირების გამო იძულებული გახდა, თანამდებობის დატოვების შესახებ თვალცრემლიანს განეცხადებინა. ივნისის დასაწყისში დიდ ბრიტანეთს დონალდ ტრამპი სტუმრობს. სწორედ ტრამპის ვიზიტის შემდეგ დატოვებს პოსტს ტერეზა მეი. ევროსაპარლამენტო არჩევნებში კი ბრიტანეთში „ბრექსიტის“ მომხრეებმა გაიმარჯვეს. როგორც ვხედავთ, მართლაც დიდი რყევებია მოსალოდნელი „ბებერი ქალბატონის“ კონტინენტზე და, მათ შორის, მსოფლიოშიც.

გია ბურდული
551 71 27 07

აჩრდილი დადის ევროკავშირში, აჩრდილი დიდი კატაკლიზმებისა

საფრანგეთის პოლიტიკური მეცნიერების დოქტორი, „მინდიალიზმის“ სპეციალისტი ფრანგი, პიერ ჰელარი როგორც მედიის საშუალებით ასევე მეცნიერული კვლევით აკრიტიკებს ერების დაშლის და მსოფლიოს გაერთიანების ტექნოკრატიულ პროცესს რომელიც „დიდი კონტინენტური ბლოკების“ შექმნის საშუალებით ხორციელდება. მისი განმარტებით, ევროკავშირის მიზანი არაა ერთიანი ევროპის შექმნა. მისი მიზანია ჩრდილოეთ ამერიკასთან ერთად ევრო-ატლანტური ბლოკის შექმნა. მას მოჰყავს ევროპის ერთ-ერთი პირველი ფედერალისტი რიჩარდ დე კუდენხოვ კალერჯის მაგალითი რომელსაც სურდა „ატლანტური კავშირის“ შექმნა. ინგლისი უნდა ყოფილიყო ხიდი ევროპას და ამერიკას შორის. კალერჯის მოსაზრებით უნდა მომხდარიყო სახელმწიფოთა პოლიტიკური, ეკონომიკური და მონეტარული კომპეტენციების გადაცემა გაერთიანების გზაზე მდგარი კონტინენტური ბლოკებისთვის (ევროკავშირი, ჩრდილოამერიკული კავშირი, სამხრეთამერიკელ ერთა კავშირი, აფრიკული კავშირი, ევრაზიული კავშირი, და ასე შემდეგ) არსგამოცლილი და უძლური სახელმწიფოები დაიშლება ფინანსური, ეთნიკური, ეკონომიკური და სხვა ფაქტორების მოქმედების გამო. ჩრდილოამერიკული კავშირის შექმნას მოყვება აშშ ს მრავალ ტერიტორიულ ერთეულად დაშლა. თავისი სახელმწიფოებისაგან განთავისუფლებული ბლოკები კი შექმნიან მსოფლიო მმართველობის არქიტექტურას. პიერ ჰელარის მეცნიერულ ნაშრომში „ევროპელი ერების დაშლა- ევროატლანტური კავშირიდან მსოფლიო სახელმწიფოსკენ“ – **(La décomposition des nations européennes – De l'union euro-atlantique à l'État mondial)** ვკითხულობთ – „XX საუკუნის მეორე ნახევარი დაფუძნებული იყო პარადოქსზე. პოლიტიკოსთა თაობები ლაპარაკობდნენ „ევროპის კონსტრუქციაზე, ევროპის მშენებლობაზე“, მაგრამ ეს მიზანი ჰგავს ჰორიზონტს რომელიც რაც უფრო წინ მივდივართ მით უფრო შორსაა და შეიძლება გაჩნდეს საშინელი ჰიპოთეზა: იქნებ ევროპის შენება სინამდვილეში არის ერთა დაშლა და ნგრევა. გერმანელი ისტორიკოსი რუდოლფ ფონ თადენ დაუფარავად ამბობდა, რომ „ევროპის ასაგებად ცოტა უნდა მივანგრიოთ საფრანგეთი. ევროპული კონსტრუქცია იმთავითვე დაფუძნებული იყო სუვერენიტეტის განხორციელების უარყოფის იდეაზე. იმის მომიზეზებით, რომ ზოგმა ევროპულმა ქვეყანამ, განსაკუთრებით გერმანიამ, 1914–1945 წლებში უწესოდ გამოიყენა თავისი ძალა, ერები გაანთავისუფლეს, მაგრამ იმისთვის რომ ისინი მაშინვე დაენგრიათ და დაექუცმაცებინათ. ძალა გააიგივეს სუვერენიტეტთან და წარმოიდგინეს რომ სახელმწიფოთა წონასწორობა ამიერიდან დამყარდება სუვერენიტეტების გაუქმებით. არასწორმა პოლიტიკამ ისევ გამოიყვანა წინა პლანზე ფაშისტური და იმპერიული ძალები. ჰელარი თავის ნაშრომში ხაზგასმით ამბობს, რომ სახელმწიფოების დაქუცმაცების და დაშლის უკან არაა მარტო ნაციონალ-სოციალიზმის მემკვიდრე ორგანიზაციები და ეთნო-რასისტული ორგანიზაციები. მის ნაშრომში „გამოკვლევა გერმანული გეგმისა რომელიც შეძრავს ევროპას“ **(Enquête sur le plan allemand qui va bouleverser l'Europe)** აღრიცხულია მრავალი როგორც მემარჯვენე ისე მემარცხენე ორგანიზაცია რომლებიც ცდილობენ ერების ნგრევას და ზოგჯერ შეგნებულად ემსახურებიან ეკონომიკურ და პოლიტიკურ მონდიალიზაციას. ეს ფაქტიურად არის შედეგი აშშ-ს გადავარდნისა იმპერიალიზმში როგორც ამას ღიად აღიარებენ ჯერ კიდევ ბუშის მთავრობის იდეოლოგები. პიერი ნაშრომში ასაბუთებს თუ როგორ გადაიქცა ცივი ომის დასრულების შემდეგ უაზრო ატლანტიზმი ინსტრუმენტად იმ „მონდიალიზმისა“ რომელსაც საფრანგეთის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ქადაგებდა თანამედროვე ევროპის მამა ვალერი ჟისკარ დესტენი **(Valery Giscard d'Estaing)**. ყურადღებიანმა მკვლევარმა პიერ ჰელარდმა მიაკვლია იმ ქსელებს და ფონდებს რომლებიც აშშ-შიც და ევროპაშიც ძირს უთხრიან სახელმწიფოთა სუვერენიტეტს უმცირესობათა უფლებების სახელით. ყველა ეს ტენდენცია ხელს უწყობს ამერიკის ჰეგემონიას. ამ ჰეგემონიას ზბიგნევ ბჟეზინსკი 1997 წელს აღწერდა შემდეგნაირად: „ამერიკული მოწოდება ამიერიდან არის დასავლური იმპერიის ასაგებად ევრაზიის გაკონტროლება“. კვლევაში აღწერილია, თუ რა არის რეალურად ევროპული კონსტრუქცია, ევროპელი ერების დაშლით ეთნიკურ საფუძვლებზე აგებული რეგიონების ევროპული ფედერაციული სახელმწიფოს შექმნა. პიერის აზრით ევროკავშირის პოლიტიკაა ევროპული სახელმწიფოების ნგრევა განსაკუთრებით რეგიონალიზმების გამოყენებით, რეგიონალური ენების და ეთნიკურობის გაძლიერებით, სახელმწიფო საზღვრების წაშლით და მათი გადაქცევით უბრალო ადმინისტრაციულ საზღვრებად. ევროპული სახელმწიფოები დანაყულ-გაწეწილია ეროვნული ხელისუფლებისგან განთავისუფლებულ რეგიონებსა და ზეეროვნულ ერთეულს შორის. მაგრამ ევროკავშირის ფუნდამენტური ტექსტები და ინსტიტუტები რომლებმაც ძირი უნდა გამოუთხარონ ევროპულ ეროვნულ სახელმწიფოებს სინამდვილეში გერმანულია. გერმანია თავის პოლიტიკურ სულიერებას სხვა ევროპულ სახელმწიფოებს ჩააგონებს ევროკავშირის მეშვეობით. ის ასე ცდილობს გაკეთებას იმისა რაც ვერ გააკეთეს ვილჰელმ მეორემ და ჰიტლერმა, ევროპის გაერთიანებას თავისი მეთაურობით. ამას ის ეხლა აკეთებს ევროკავშირით იმიტომ, რომ ის ემორჩილება ამერიკას (ამერიკა მუდამ თანახმა იყო რომ გერმანიას გააეერთიანებინა ევროპა თუ კი გერმანია მისი მორჩილი იქნება). აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ყოველი არჩეული გერმანიის კანცლერი ერთგულების პირობას აძლევს ვაშინგტონს. ევროკავშირი არაა თავისთავადი მიზანი; ის შემდეგ უნდა ჩაეწეროს ევროატლანტურ ბლოკში ჩრდილოეთ ამერიკასთან. დამაფიქრებელია პიერ ჰელარის კვლევა- „გერმანული გეგმა რომელიც შეძრავს ევროპას“, სადაც იგი აღწერს გერმანელთა განსახლებას აღმოსავლეთით შუა საუკუნეებიდან მოყოლებული. ის აკონკრეტებს აღმოსავლეთ ევროპაში გერმანელთა განსახლების მიზეზებს, მიზნებს და შედეგებს. შემდეგ ავტორი აღწერს უმცირესობათა გაძლიერების. და რეგიონალიზმის პოლიტიკას ევროპაში გერმანიის გაერთიანების 1989–1990 წლების შემდეგ. ჰელარი ცდილობს იმის ჩვენებას, რომ გერმანია საუკუნეთა განმავლობაში ახდენდა აღმოსავლეთი ევროპის ტერიტორიების კოლონიზაციას და დღესაც არის მრავალი გერმანული უმცირესობა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. ფინანსური მხარდაჭერის მქონე ეს უმცირესობები არიან ევრაზიულ კონტინენტზე გერმანული გავლენის საყრდენი პუნქტები. დაინტერესებული, ანგარებიანი მხარდაჭერა

თავისი ფედერალური პოლიტიკის და ეთნო-კულტურული ხედვის ერთგული გერმანია ევროკავშირში ნერგავს ზომებს რომლებიც როგორ გერმანულ ისე არაგერმანულ უმცირესობებს აძლევენ მათი მოთხოვნების გამოხატვის და რეალიზაციის საშუალებას XX საუკუნეში ბევრ გერმანელ ინტელექტუალს სურდა ეთნოსთა წინ წამოწევა, ამის გაკეთება კი აუცილებლად გამოიწვევს საზღვრების შეცვლას. ამ პოლიტიკას ატარებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა 1990 წლიდან. მოკლედ რომ ესაა ოტონების, ჰოჰენშტაუფენების, 1848 წლის, შტრესემანნ-ის და ნაციზმის იმპერიული სული. იცვლება მარტო მეთოდები. მოიგონეს რ გიონ ტრანსფრონტალი რე ანუ სახელმწიფო საზღვრის არმცნობი რეგიონი, ევროპული ტერიტორია რომელიც შედგება სხვადასხვა სახელმწიფოების კუთვნილი რეგიონებისგან სადაც არის მკვიდრთა გაცხოველებული ურთიერთობა და ხორციელდება საერთო პროექტები. ასე მაგალითად არის საზღვრის არმცნობი რეგიონი **Longwy** რომელიც მოიცავს საფრანგეთის, ბელგიის და ლუქსემბურგის რეგიონებს. ასეთ რეგიონებს ასევე უწოდებენ ევრორეგიონს. (საზიარო ტერიტორია) ევრორეგიონი არის ევროკავშირის სხვადასხვა სახელმწიფოსთვის საერთო გეოგრაფიული სივრცე, მულტიკულტურალური ტერიტორია რომელსაც ხშირად აქვს საერთო ისტორია. საერთო განვითარების სტრატეგია ევრორეგიონი მის წევრებს აძლევს თანამშრომლობის და მოქალაქეებისთვის სასარგებლო საერთო პროექტების განხორციელების საშუალებას. ყოველი ევრორეგიონი განსაზღვრავს თავის პრიორიტეტებს და მოქმედების არეს ტერიტორიის თავისებურებების შესაბამისად.

ევროდეპუტატმა პოლ მარი კოტომ **(Paul-Marie Coûteaux)** ამის თაობაზე დაწერა „რეგიონული ევროპა“ **(Europe des régions)** ანუ „ახალი ევროპა“ რომლის მთავარი სიტყვა იქნება სუბსიდიარობა იოლად იარსებებს ეროვნული სახელმწიფოების გარეშე, დასკვნა შეიძლება იყოს უფრო უხეშიც და უფრო პოლემიკურიც: გერმანული ანუ ეთნიცისტურ-ეთნოსისტური სოუსით დამზადებულ ევროპას შეუძლია არსებობა საფრანგეთის გარეშე, მეტიც, საფრანგეთისთვის სიკვდილის მისჯა. ამისთვის საკმარისია ევროპულ ქვეყნებს შორის სახელმწიფო საზღვრების თანდათანობით წაშლა, გაუქმება და და ამ საზღვრების აქეთ-იქით მცხოვრებთა თანამშრომლობის გამრავლება. ეს კი უკვე ფაქტია პირენეებიდან ფლანდრიამდე და ალზასამდე. უწყინარი დღესასწაულები? ფედერალური მთავრობის, პრესის და ინფორმაციის ოფისი სამი წელია რაც აწყობს მანიფესტაციას რომელსაც ჰქვია „მშენებარე ევროპა“რომელთა მიზანიცაა გერმანია-პოლონეთის და გერმანია-ჩეხეთის საზღვრების ახლო მდებარე ქალაქების მკვიდრთა ერთმანეთისთვის გაცნობა. რა იმალება „მიზნის“უკან ძნელი სათქმელია. ფაქტია, რომ ევროპა იღვიძებს, მაგრამ ლაბირინთიდან გამოსასვლელად ეყოფა ძალა? ვინ იცის... ერთი კვირის წინ იტალიის ვიცე-პრემიერმა მატეო სალვინიმ, ევროპელ ულტრამემარჯვენე მოკავშირეებთან ერთად, მილანის საკათედრო ტაძრის წინ მასობრივი აქცია გამართა. მან, ამ კვირაში დაგეგმილი არჩევნების შემდეგ, ევროპარლამენტში მსხვილი ალიანსის შექმნის გზით, ისტორიის შეცვლის პირობა დადო. სიტყვით გამოსვლისას, სალვინის ფლანგს უმაგრებდნენ მარი ლე პენი საფრანგეთიდან და კიდევ სხვა ლიდერები, ევროპის ცხრა ნაციონალისტური პარტიებიდან. „ნამდვილი ჯარისკაცი იბრძვის არა იმიტომ, რომ სძულს, რაც მის წინ დგას, არამედ იმიტომ, რომ უყვარს, რაც მის უკანაა. ამ მოედანზე არ არიან ექსტრემისტები, რასისტები და ფაშისტები. ექსტრემისტები არიან ისინი, ვინც ევროპას ოცი წელია მართავენ სიღარიბისა და არასტაბილურობის სახელით“, – განაცხადა სალვინიმ და აღნიშნა, რომ მისი ჯგუფი ევროპას გარდაქმნის არა საკუთარი თავის, არამედ მათი შვილების გამო.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

კავკასიელები ერთმანეთს თუ არ დავუდექით გვერდით, ევროპის და ამერიკის იმედი ნუ გვექნება!

„საერთო გაზეთის“ მთავარ რედაქტორს ბატონ ვახტანგ ხარჩილავას

გაგიკვირდებათ ალბათ, ამ წერილის მიღება აზერბაიჯანის მოქალაქეებისგან და თან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან.

ჩვენზეა, ალბათ, ნათქვამი — **სადაურსა სად წაიყვან, ბედო**.

ამიტომაც, რომ არ დაგაბნიოთ, დასაწყისშივე მოგიყვებით ჩვენი ოჯახის ფათერაკებით სავსე ისტორიას:

მე, ელდარ აივაზოვი და ჩემი მეუღლე ალიდა ხალილოვა თბილისში დავიბადეთ, გავიზარდეთ, სკოლაც იქ დავამთავრდეთ, დავქორწინდით და თბილისში ვიცხოვრეთ, საქართველოს მოსახლეობასთან ერთად ვიზეიმეთ ქვეყნის თავისუფლების გამოცხადება, მათთან ერთად ვიზიარებდით ჭირ-ვარამს, ვიდრე ქვეყნის სიმშვიდეს შეიარაღებული ბანდები დაარღვევდნენ.

90-იანი წლების საქართველოში დამდგარი განუკითხაობის პერიოდში დავტოვეთ საქართველო და საცხოვრებლად ბაქოში გადავსახლდით. დაუფარავად ვიტყვით, არ იყო იოლი თბილისის შემდეგ ბაქოში, სრულიად ახალ გარემოსთან შეგუება, მაგრამ ცხოვრება მაინც ავაწყვეთ და მოკლე ხანში, მე, თოიძის სამხატვრო სკოლის წარჩინებით კურსდამთავრებული და ჩემი მეუღლე ალიდა ხალილოვა, ბაქოში აღიარებული კონდიტერი, მანამდე არ ვუჩიოდით ბედს, ვიდრე ერთ მშვენერ დღეს გადაწყვეტილებას მივიღებდი, მართლმადიდებელ ქრისტიანად მოვნათლულიყავი.

ყველაფერი კი ასე დაიწყო:

—ერთ დღეს ბაქოში გამომავალ რუსულენოვან გაზეთში წავიკითხე: რუსული ეკლესიის მიტროპოლიტი, რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის ფრესკების აღდგენა-მოხატვაზე ტენდერს აცხადებდა!

ბუნებრივია, მონაწილეობა მივიღე ტენდერში და გამარჯვებულთა ხუთეულში მოვხვდი. ეს შემთხვევა ციდან ჩამოვარდნილ საჩუქრად ჩავთვალე და საქმეს დიდი მონდომებით შევუდექი. მოკლე დროში გამოიკვეთა ჩემი უპირატესობა ტენდერში გამარჯვებულთა შორის, რასაც ქართული სამხატვრო სკოლის სწორუპოვარი ტრადიციების ცოდნა მიმაგრებდა. ეს რუსული ეკლესიის მამებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ და მათი ყურადღება ძალას და სურვილს მიორმაგებდა, ბოლომდე დავხარჯულიყავი. საყვარელი საქმის კეთებამ იქამდე მიმიყვანა, თითქმის გადავსახლდი ქრისტიანულ ტაძარში. სამი წლის მანძილზე, ყოველდღე, დღეში სამჯერ, ვისმენდი წირვა-ლოცვას, გალობას და ასე აღმოვჩნდი სრულიად ახალ სამყაროში. ქრისტიანული სასულიერო ლიტერატურის გაცნობამ და სწავლამ, რასაც რუსი მოძღვარი მაწვდიდა, სამი წლის თავზე გადამაწყვეტინა მართლმადიდებელ ქრისტიანად მოვნათლულიყავი.

ჩემი ქრისტიანად მონათვლის შესახებ, წლების განმავლობაში, არავინ არაფერი იცოდა. ახლაც მიმძიმს იმის გახსენება, რა ამბავი მოჰყვა ამ ამბავის გამხელას. ჩემი ძმები და ნათესავები ამიჯანყდნენ ამის გამო და სიკვდილით მემუქრებოდნენ.

ამასობაში, ჩემი მეუღლე ალიდა ხალილოვა ცნობილი კონდიტერი გახდა, მას ბავშვობიდანვე ჰქონდა უალტერნატივო, ქართული სამხარეულოს საიდუმლოებები ნასწავლი და მის **„შემოქმედებას“** ბაქოში **„ალიდას ტორტს“** სახელით იცნობდნენ.

რომ იტყვიან, უფალს მადლობას ვწირავდი, ჩემი და ჩემი მეუღლის გამართული საქმიანობისთვის, მხატვრის ფუნჯი, ბიბლია და სახარება კი ჩემი ფიზიკური და სულიერი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. ასე გაგრძელდა თითქმის ათი წელიწადი, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი ტაძრის წინამძღვარი დამიბარებდა და დილის წირვის შემდეგ ტრაპეზზე დამპატიჟებდა.

იმჟამად, ფრესკების აღდგენა დამთავრებული მქონდა და ძირითადად, ხატწერაზე ვმუშაობდი. მამამ ნამუშევრები შემიქო, საბარძიმო ღვინო შემომთავაზა, უფლის სადიდებელი თქვა და **შენთვის საინტერესო წინადადება მაქვს, თუ მიიღებო,** მოაყოლა.

მიუღებელი რა უნდა იყოს მამაო, ჩვენ ხომ უფალს ვემსახურებით -მეთქი, მივუგე.

„ელდარ, შვილო, შენ კარგად იცი, რა ცეცხლი ანთია აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის. ეს ამბავი შემთხვევითი არ არის, ღვთისგან განდგომის გამო მოხდა ის, რაც მოხდა ორ ქვეყანას შორის, უამრავი ადამიანის მსხვერპლი რომ მოჰყვა!

სომხეთში ხელის თითებზე დასათვლელი აზერბაიჯანელი არ დატოვეს სომხებმა. მანამდე კი, გასული საუკუნის 50–60-იან წლებში, ერევანში, რომელიც, პრაქტიკულად, შენი წინაპრების აშენებულია, არც ერთი მეჩეთი არ დატოვეს, პირწმინდად წაშალეს მაჰმადიანური არქიტექტურის კვალი. ყარაბახს კი ე.წ. თავისუფლების მოპოვების შემდეგ მიადგნენ და დედაბუდიანად ამოჟლიტეს თქვენი ჯიშის მოსახლეობა.

გაუგონარი სისატიკით მოახდინეს ყველაფერი. ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ, როცა მასში ღვთის ხელი ურევია.

ვერ მოვითმინე და სანამ მთავარს იტყოდა, ვკითხე: **რას მთავაზობთ მამაო, მე რა შემიძლია?**

სახეზე ოდნავი ღიმილი დაეტყო და განაგრძო: **ერევნისგან განსხვავებით, ბაქოში რამდენიმე ათასი სომეხი ცხოვრობს, სომხური ეკლესიაც ხელშეუხებელია, მაგრამ მოუვლელობისგან დაზიანებულია და მას აღდგენა სჭირდება.**

მოულოდნელობისგან პირი დავაღე!

ისევ ღიმილმა გადაუარა სახეზე მამაოს: **დიახ, სომხურ ეკლესიას აღდგენა სჭირდება და იგი ჩვენ, უფრო სწორად, შენ უნდა დაიწყო.**

სომხების წესი ხომ იცი, ისინი სხვათა ეკლესია-მონასტრების დაპატრონებას არიან ჩვეული. საკუთარს იშვიათად აშენებენ. ამიტომ ჩვენ, მათ სიკეთის და ღვთის მორჩილების მაგალითი უნდა ვაჩვენოთ, იქნებ ამ გზით შევძლოთ მათი სულების გადარჩენა. დიდი ხანია ჩვენი ეკლესია ამ საკითხზე ფიქრობს, მარტო მე არ გადამიწყვეტია შენზე არჩევანის გაკეთება.

ყურადღებით მოვისმინე ყველაფერი და მოფიქრებისთვის დრო ვთხოვე მამაოს.

აზერბაიჯანი და საქართველო ორივე ჩვენი სამშობლოა და თუ საჭირო იქნება, ორივეს შევეწირებით, მაგრამ უაზრო საქციელის გამო მაჰმადიც დაგვსჯის და იესო-მაცხოვარიც.

შენი გადასაწყვეტია უფლის სამსახურში ჩადგომაო, —მიპასუხა.

ორი დღე ვიტანჯებოდი, როგორ გამემხილა ჩემი ხალხისთვის რუსული ეკლესიის წინადადება, ჩვენი მოსისხლე მტრების, სომხების ეკლესიის აღდგენის შესახებ.

რამდენადაც ჩემი მეუღლისთვის გასაგები და მისაღები იყო ჩემი მონათხრობი, ასმაგად მძიმე და გაუგებარი აღმოჩნდა ჩემი ოჯახის დანარჩენი წევრებისთვის და ნათესავებისთვის ჩემი გადაწყვეტილება და მე და ჩემი მეუღლე (იგი მოგვიანებით გერმანიაში მოინათლა ქრისტიანად) გვარის, ოჯახის და მაჰმადის სჯულის მტრად გამოგვაცხადეს.

ჩემს წლების განმავლობაში საიდუმლოდ ნატარებ ქრისტიანად მონათვლას, სომხური ეკლესიის აღდგენაც დაემატა. ამ უკანასკნელს კი მყისიერად პოლიციის მუქარაც მოჰყვა. ამის შემდეგ უკიდურესად საშიში გახდა ჩვენი ბაქოში დარჩენა, იძულებული გავხდით საათივით აწყობილი საქმე შეგვეწყვიტა და თავშესაფარი **„დემოკრატიულ ევროპაში“** გვეძებნა.

ასე მოვხვდით გერმანიაში, სადაც სამი წელიწადია ვცხოვრობთ. სამი წელიწადია ველოდებით გავხდეთ ამ ქვეყნის სრულუფლებიანი წევრი.

აქ ჩამოსვლის პირველი დღეებიდან მოყოლებული, კეთილმასპინძლობისთვის, მადლობასთან ერთად, პრეტენზიაც გვაქვს მასპინძლებთან: **ჩვენ არ ვართ ჩვეული სხვისი ხელის შემყურედ ვიცხოვროთ, მოგვეცით ნორმალური შრომის საშუალება, რომ სახელმწიფოს ტვირთად არ დავაწვეთ.**

ჩვენ სახლში დასაბრუნებელი გზა მოჭრილი გვაქვს, იქ ჩვენ სიკვდილი გველოდება, მხოლოდ იმიტომ, რომ სიკეთის კეთება ვცადეთ!

ჩვენო ძვირფასებო, აზერბაიჯანელებო და ქართველებო, როგორც დასაწყისში ვახსენეთ — **კავკასიაში მცხოვრები ქვეყნები, ერთმანეთს თუ არ დავუდექით გვერდში, ე.წ. „დემოკრატიული ევროპის და ამერიკის“ იმედი ნუ გვექნება.**

ჩვენი პრობლემები და გასაჭირი მათთვის გაუგებარია.

სხვისი ხელის შემყურეობა ჩვენთვის რომ დამამცირებელია მათ ეს არ ესმით.

ყოველივე ამის ფონზე, ამ დღეებში საქართველოდან ჩვენამდე მოღწეული ამბები, **ერთ-ერთი უძველესი, ქართული ქრისტიანული სამონასტრო კომპლექსის დავით-გარეჯის გარშემო ატეხილი სკანდალი, უცოდინარობის, უპირველეს ყოვლისა, მაჰმადის სჯულის უკიდურესი უპატივცემულობის გამოვლენაა აზერბაიჯანელების მხრიდან.**

ის, რომ მაჰმადიანი მართლმადიდებლურ-ქრისტიანულ მონასტერს თავისად იჩემებდეს, დღემდე არავის სმენია.

უფალია მოწმე, როგორ არ გვინდა იგი მეორედ მოსვლისა და ღვთისგან განდგომილთა სასჯელად დაატყდეს აზერბაიჯანელი ხალხის უცოდველ ნაწილს.

ერთადერთი, რაც ჩვენ ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად შეგვიძლია გავაკეთოთ — **ყველა მაჰმადიანისთვის წმინდა წიგნში — „ყურანში“ არაერთხელ მოხსენიებულ იესო წინასწარმეტყველს და ღვთისმშობელ მარიამს შევთხოვოთ: აზერბაიჯანელი ხალხი დაიფაროს გაუაზრებელი ცოდვის ჩადენისგან!**

აზერბაიჯანი და საქართველო ორივე ჩვენი სამშობლოა და თუ საჭირო იქნება, ორივეს შევეწირებით, მაგრამ უაზრო საქციელის გამო **მაჰმადიც დაგვსჯის და იესო-მაცხოვარიც**.

P.S. ბატონო ვახტანგ, სამი წელია თქვენი გაზეთის აქტიური მკითხველები ვართ გერმანიის პატარა ქალაქ **ფირზენში. გაზეთი** ბატონ დავით ქობალიას ჩამოაქვს ჩვენთან პერიოდულად და ხშირად ხმამაღლა ვკითხულობთ მას, ქართული ენის კეთილხმოვანებით რომ დავტკბეთ.

საუბარი ჩაიწერა
დავით ქობალიამ

სახლების მფლობელი გევურჯ-აღა, გვარად სააკაშვილი და საქართველოდან გაზიდული 17 მილიარდი, რომლითაც „ნაცები“ მომავალი სახელმწიფო გადატრიალების დაფინანსებას აპირებენ

მიშამ ფლორიდაში ბინა იყიდაო, გავარდა ხმა და ეგრევე შეჩოჩქოლდა ქართული საზოგადოება. პრინციპში, ხმა კი არ გავარდა, ფარული აუდიო-ჩანაწერი გავრცელდა. როგორც ჩანაწერიდან ირკვევა, მიხომ ბიძამისს, თემურ ალასანიას სთხოვა, ფლორიდაში ერთი „ქოხი“ მაინც მაყიდინეო. იმანაც დაასაქმა მაკლერები. უშოვეს და მიდის ბაზარი, ეზო რომელ მხარეს აქვს ამ „ქოხს“, ზღვის მხარეს თუ საპირისპირო მხარესო? ზღვის მხარესო, ძაან მაგარიაო.

●

თემურ ალასანია: რას შვები? არ ვიცი ჯერ, მაგრამ შენ ნახე ჩემი, რაც გამოვაგზავნე?

მიხეილ სააკაშვილი: კი, ხოდა, მეც მასე... მოგწერე უკან.

თემურ ალასანია: ხო, არა, ნუ, ესეიგი, როგორ ვქნა მაშინ? ამასთან გავაგრძელო ამ პირველთან თუ რა ვქნა?

მიხეილ სააკაშვილი: ხო, ხო, რაზეც შევთანხმდით იმაზე, მაგრამ ერთადერთი... რა ხდება?

თემურ ალასანია: იმას ვნახავ. იმეებს შევხედავ ყველას, ხოდა, თუ რაღაცაა და ძალიან გადასარევი იქნა, ეხლა პირდაპირ დავურეკავ და გავიგებ ყველა პირობებს და თუ რაღაცა გადასარევია და უბრწყინვალესია, მაშინ კაი, ამათ გავაჩერებ ცოტახანი, თუ „შესძლებენ„ გაჩერებას და თუ არა და... არ ვიცი ეხლა. მაშინ, „ორშაფათს„„ „სამშაფათს„ გავფრინდები. იცი რა, ტყუილად არ მინდა ჩასვლა იმიტომ, რომ მეუბნებიან ესენი, ჯერ არ ჩამოხვიდეო და ეხლა, თითო-თითოზე ხო ვერ ვიფრენ ეგრე, ტო? ხოდა ამიტომ, მოდი, დაველაპარაკები დღეს და იმის მიხედვით ვქნათ.

მიხეილ სააკაშვილი: ეს „Unit“-ი ნამდვილად ქუჩაზეა?

თემურ ალასანია: ყველა „Unit“-ი არის ქუჩაზე, მაგრამ როგორ არის, იცი? ნახევარი არის ქუჩაზე, ნახევარი არის... საძინებლები არის იქითკენ, ეზოს მხარეზე. ყველა ესეა. ამიტომ არის, „Partial ocean view“-ა.

მიხეილ სააკაშვილი: ხო, არა, მოიცა... ეზო საით მხარეს არის?

თემურ ალასანია: ეზო არის მე მგონი ოკეანის მხარეს

მიხეილ სააკაშვილი: ოკეანის მხარეს, ხო...

თემურ ალასანია: ხო, იმიტომ, რომ კუთხურად არის. კუთხურად გამოდის.

მიხეილ სააკაშვილი: ეგ ქუჩის მხარეს, მაგრამ ქუჩის მხარეს რამე „Gate“-ი აქვს?

თემურ ალასანია: არა, არავითარი. ესეიგი, თუ „Garden“-ი გაქვს, იმას აქვს რასაკვირველია, მაგრამ ის „Garden“-ი როგორიაო, იცი? ტიპი გააღებს და შემოვაო. ხოდა, ეგეთი ეხლა... ხო ვერ ააშენებ? შენ ხო იცი, რომ არ აგაშენებინებენ მანდ არაფერს და ვერ იმას იზამ. საერთო ხედი როგორიც არის, ეგეთია და ეგეთი რად გინდა?

მიხეილ სააკაშვილი: ჩემი აზრით, მაგაზე უკეთესს ვერაფერს ვერ იპოვი იმიტომ, რომ ეს, აი, ყველაფერი გასაგებია.

თემურ ალასანია: მეც ესე მგონია, რომ ეს ძაან კაი ვარიანტია და ამიტომ ვნახოთ, შევხედოთ ეხლა. კიდე მუშაობა მიდის. უკვე მივეცი იურისტებს.

მიხეილ სააკაშვილი: კაი, გენაცვალე.

●

ამ აუდიო-ჩანაწერს მოსდევს მეორე, არანაკლებ სკანდალური ფრაგმენტი. თემურ ალასანიას ურეკავს ცოლი (ქეთი) და გაღიზიანებული ეკითხება, მიშას ბინის მისამართი როგორაა? თემური იბნევა, რომელი ბინისო? ფლორიდისო, იმ „იძიოტკას“ უნდა, არც გასაღები აქვს, ჩამოსვლას აპირებსო. „იძიოტკაში“ სანდრა რულოვსს გულისხმობს. თემური კვლავ იბნევა, დოკუმენტებში წერია, კარგად აღარ მახსოვსო. თუმცა მერე იხსენებს: **2201 Collins Ave #318, Miami Beach, Florida, 33139.** კონკრეტულად სად, რა ადგილას არის ეს მისამართი და რა ღირს აქ ბინები? ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ეს არის ძალიან პრესტიჟული და ძვირადღირებული უბანი, რადგან საცხოვრებლის ერთი ნაწილი პირდაპირ ოკეანეზე გადის. ამ ტერიტორიაზე ერთ საძინებლიანი ბინა დაახლოებით 700,000 (შვიდასი ათასი დოლარი) ღირს, ხშირ შემთხვევაში კი უფრო მეტიც. ასეთი ბინის მფლობელები ასევე იხდიან სავალდებულო ტერიტორიისა და შენობის მომსახურების, დასუფთავების, საცურაო აუზის ყოველთვიურ გაფასახადს, რომელიც 750 დოლარიდან იწყება (ესეც დამოკიდებულია ბინის ფართზე). ამერიკაში მოსახლეობის უმრავლესობა ბანკიდან იღებს სესხს და ისე ყიდულობს უძრავ ქონებას. ამისათვის საჭიროა მუშაობდე ამერიკულ კომპანიაში, გქონდეს კარგი შემოსავალი და იხდიდე გადასახადებს, ასევე გქონდეს კარგი საკერედიტო ისტორია. თუ ეს ყველაფერი არ გაქვს, მაშინ ერთადერთი საშუალებაა, ნაღდ ფულზე შეიძინო ბინა. უძრავი ქონების მფლობელები ასევე იხდიან ქონების გადასახადს, რომელიც ბინის ღირებულებიდან გამომდინარე იანგარიშება. თუ ბინა 700 ათასი ღირს, მაშინ მისი ყოველწლიური ქონების გადასახადი დაახლოებით 9000 დოლარი იქნება. სააკაშვილის შემთხვევაში, ვინაიდან იგი არ არის ამერიკაში დასაქმებული, არ გააჩნია მუდმივი შემოსავალი ამერიკული კომპანიიდან, მისთვის ბინის შეძენის ერთადერთი საშუალება არის ნაღდი ფულის გადახდა. მიხო სააკაშვილი ხშირად წუწუნებს, ფული არ მაქვს, „პაესტკებში“ რომ დავდივარ, 80-დოლარიან სასტუმროებში ვცხოვრობ, დედაჩემის პენსია აღარ მყოფნის, ემიგრანტებო, ბიძიებო, ბაბუებო, დამეხმარეთ, ათ-ათი ევრო მაინც ჩამირიცხეთო, პარტიასაც უჭირსო, საარჩევნოდ ქესეტად გახლავართო. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის დადასტურებული ინფორმაციით, მას და მის სანათესაოს საქართველოდან 17 მილიარდი

დოლარი აქვს გატანილი, მაინც არ ეშვება მაიმუნობას და თქვენ წარმოიდგინეთ, ხშირად უმართლებს კიდეც – ბევრმა ე.წ. ემიგრანტმა მისი თაღლითური გამოხტომები დაიჯერა და ფული ჩაურიცხა. თუმცა ამ გზით მიხო სააკაშვილი ფლორიდაში ბინის საყიდელ მილიონებს მაინც ვერ მოაგროვებდა, აქ საქმე გვაქვს საქართველოდან გატანილ ფულთან, რომლის შემოქმედიც ძირითადად გახლავთ თემურ ალასანია. მეტიც, ამ ჩანაწერის გავრცელების შემდეგ საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, **ირაკლი ღარიბაშვილმა** ძალიან საინტერესო განცხადება გააკეთა:

„საზოგადოებამ მოისმინა ჩანაწერი, სადაც ჩანს, როგორ საუბრობს სააკაშვილის ბიძა მიხეილ სააკაშვილის მრავალმილიონიან სახლზე, რომელიც ფლორიდაში აქვს და ეს კიდევ ერთი მტკიცებულებაა იმისა, რომ ეს ადამიანი მოპარულ ფულს ათეთრებს აშშში. მარტივად რომ ვთქვათ, ისინი მოპარული ფულის ლეგალიზებას ახდენენ მთელ მსოფლიოში. ეს ძალიან სერიოზული დანაშაულია. აქედან გამომდინარე, ძალიან სასაცილო და შეიძლება ითქვას, უკიდურესად შეურაცხმყოფელია მიხეილ სააკაშვილის ის კონცერტები, რომელსაც ჩვენს ემიგრანტებთან შეხვედრების დროს მართავს და მათგან მიზერულ თანხებს ითხოვს. წარმოიდგინეთ, რამდენად ყალბი ადამიანი შეიძლება იყოს მიხეილ სააკაშვილი“.

რასაკვირველია, არც ამ განცხადებას და არც ფლორიდის ბინის ამბავს ბიძა-დიშვილი უპასუხოდ არ დატოვებდნენ. პირველმა ახსნა-განმარტებითი ბარათი სოციალური ქსელის მეშვეობით **თემურ ალასანიამ** ჩაგვაბარა:

„რამდენიმე სიტყვით მინდა გამოვეხმაურო გამოქვეყნებულ სატელეფონო საუბარს. ჩემი დამოკიდებულება ასეთი ჩანაწერების მიმართ მე რამდენჯერმე დავაფიქ-

სირე და ახლა ამაზე არ შევჩერდები. როგორც ჩანს, განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ფლორიდის ბინამ, რომელიც ამ ორიოდე წლის წინათ შევიძინე ნიუ-იორკში გაყიდული ბინის სანაცვლოდ. ეს უძრავი ქონება გაფორმებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა იურიდიული და ფინანსური მოთხოვნის სრული დაცვით. ამ ბინით ვსარგებლობთ მე და ჩემი მეუღლე, ჩვენი შვილები, შვილიშვილები და, რასაკვირველია, დიდი სიხარულით ვიწვევთ ხოლმე ჩემს დასა და დისშვილს, როცა მათ ჩამოსვლის საშუალება აქვთ. მე რამდენიმე ათწლეული ვმუშაობდი საპასუხისმგებლო ადგილზე საერთაშორისო ორგანიზაციაში და შესაბამისად, მაღალი ანაზღაურება მქონდა (და მაქვს). ამიტომ შემიძლია, ჩემს თავს უფლება მივცე, მქონდეს ბინა იქ, სადაც მინდა. არა მგონია, ეს ვინმეს საქმე იყოს. მით უმეტეს, საქართველოს ხელისუფლებაში დაბუდებული ბიუჯეტის ქურდების“.

სასაცილოა, თურმე ბიძამ დის შვილს მილიონიანი ბინა ხელფასით უყიდა. ამასთან, ბიუჯეტისა და სახელმწიფოს ყოფილი ვირთხა ქურდობაში სხვას ადანაშაულებს. თემურ ალასანიას უპასუხა ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებმა, „მეცხრე არხის“ ყოფილმა თანამშრომელმა, **რუსუდან წერეთელმა:**

„ბატონო თემურ, ეს ტყუილები და მარაზმი ისევ თქვენს მიშათმავლებს წაუკითხეთ. თქვენს ჩანაწერში კარგად ჩანს, რომ მაიამიში ბინის შეძენის საკითხს უთანხმებთ მიშას და ბინის ორდერშიც მიშა წერია მფლობელად. ვერ გავიგე, თუ თქვენ ხართ მარტო მეპატრონე, მიშას რაღას უთანხმებთ?! იმავე ჩანაწერში კარგად ჩანს, რომ ნიუიოკრში მიშას ბინის შეძენის საკითხსაც განიხილავთ. მანჰეტენზე რომ მიშას პენტჰაუზი აქვს, ეხლა იმაზეც არ თქვათ, რომ თქვენია! ეჰ, მოგიძველდათ კგბ-ს მეთოდები, აღარ იცით, სად რა ილაპარაკოთ! ისე, თქვენც კარგი კაპასი ცოლი გყოლიათ, როგორ სძულს რძალი სანდრა“.

თუ აწ უკვე „დაღვინებული“ თემურ ალასანია დელიკატურად ცრუობს, მისი დიშვილი, ჯერაც „მაჭარი“ მიხო სააკაშვილი უკანასკნელ ბოგანოსავით იფურთხება: ფული არ მაქვს და... რაც არ მქავს, რას იპოვიანო? დღეს რომ პარლამენტში 40 მილიონერი უზითით, ამის გადაფარვას ცდილობენ ჩემი ვითომ მილიონებითო. ვინც ამ ინფორმაციას ავრცელებს, სუფთა ნაგავია, ვინც იჯერებს – ის კიდევ კლინიკური იდიოტიო. მიხო სააკაშვილი აქაც წინააღმდეგობაში ვარდება, ანუ ტყუის,

ანუ შავზე იძახის, თეთრიაო. ის არაფერს ამბობს ჩანაწერზე, სადაც ბინის ყიდვაზე ბაზრობენ. ესე იგიო, ვინც ამას ავრცელებს, ნაგავია, ვინც იჯერებს – იდიოტიო. აქვე ირაკლი ღარიბაშვილსაც სწვდება და უდღეურს უწოდებს. ნუ, ეხლა, უდღეური და განუვითარებელი ქინძისგან მეტს რას უნდა ველოდოთ?!

●

ჩვენში ბევრს ჰგონია, რომ მიხო სააკაშვილმა ბინა პირველად იყიდა, ან მანამდე არაფერი გააჩნდა. პირველი – თავად ბიძამისიც აღიარებს, რომ ბინა ჰქონდა ნიუიორკში და გაყიდა, ანუ მანამდეც არ იყო დარჩენილი უსახლკაროდ. მეორე – სანამ მიხო ფლორიდაში შეიძენდა ბინას, მანამდე ბრუკლინში იყიდა. ამის თაობაზე ჯერ კიდევ 2016-ში ვწერდი. მახსოვს, ერთი ქალბატონი ემიგრანტი გაბრაზებული მეუბნებოდა – რას აყვედრი, ბიჭი ისეთი გაჭირვებულია, ჩვენ გავურემონტეთო. გამოდის, მიხოსთვის ემიგრანტების ყვლეფა არახალია, უბრალოდ ამ ეტაპზე უფრო მეტი მოინდომა და მათი ხელით პოლიტიკური ნარის გლეჯვაც დააპირა. თუმცა ემიგრანტი, რომელიც მის დუდუკზე ცეკვავს, რასაკვირველია, ვერ არის თავის მატორზე და შესაბამისად, ვერც პოლიტიკურ ქულებს დააგროვებს თავისი ე.წ. პრეზიდენტისთვის. პრინციპში, მიხო არც ისეთი გიჟია, არ იცოდეს, რის მაქნისები არიან ემიგრანტები ამ საკითხში, ტიპს ფული უნდა და ამ გზით აკეთებს. ვერაფერს იტყვი, მსოფლიო დონის თაღლითს ესმის საგანი. აი, სწორედ ამიტომ ჰკითხა ქოფაკმა თემურ ალასანიამ თავის ცოლს, მიშას რომელი ბინაო? მესამე – ჯერ კიდევ, როცა მიხო ოდესის გუბერნატორი გახლდათ, კიევში დაიწყო ძვირადღირებული, ფეშენებელური სახლის მშენებლობა. თითქმის ბოლომდე ჰქონდა ყველაფერი მიყვანილი, მაგრამ უკრაინიდან ძაღლივით გაგდების შემდეგ დედამისი, გიული ალასანია ჩავიდა და გაყიდა. ალბათ გახსოვთ, ამის თაობაზე ვიდეო თვით გიული ალასანიამ გაავრცელა. თან მდიდრულ სახლზე წუწუნებდა – აბა, ეს რა არი, ნახეთ, ჯერაც დაუმთავრებელიაო. მეოთხე – მაშ ასე, მიხო გუბერნატორობის პერიოდში დასახლდა ბრუკლინის ჩრდილოეთით, მეშვიდე ქუჩაზე. ეს არის მაღალსართულიანი შენობის პენტჰაუსი, რომლის ფანჯრებიდანაც გაკაშკაშებული მანჰეტენის ხედი მოჩანს. აქ გახლავთ განთავსებული შუშის ცათამბჯენები (მიშამ ოცნება აისრულა, საქართველოშიც შუშიან სახლებზე აბოდებდა), ღამის კლუბები და ძვირადღირებული

იტალიური რესტორნების ქსელი. ეს კიდევ არაფერი, ვინაიდან სააკაშვილის მადა უსაზღვროა, ბრუკლინის მრავალმილიონიან აპარტამენტებს იმ პერიოდშივე შეემატა ძვირადღირებული სახლი მაიამის სამხრეთ პლაჟზე, ქოქონათ გრუვის უბანში. ბრუკლინის სასახლე და მაიამის საზაფხულო რეზიდენცია ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის, მიხეილ სააკაშვილმა ცოლისთვისაც მოიცალა. სანდრა რულოვსი ფაქტობრივად უფუნქციოდ იყო დარჩენილი და ამიტომ, დეპრესიაში რომ არ ჩავარდნილიყო, საკომპენსაციოდ მიშამ 30 მილიონ ევროდ პენტჰაუზი შეუძინა შუაგულ პარიზში, რომელიც მისი ძმის, ეკბერტის სახელზე გააფორმა. ეს არის პარიზის მეშვიდე ელიტარული რაიონი, სენტ-დომიკის ქუჩა. სახლის ბოლო სართულიდან არნახული ხედი იშლება ეიფელის კოშკის მიმართულებით, პარკის გავლით სულ რაღაც 5 წუთია ფეხით სასიარულო.

სანდრასაც დიდი ბიზნესები ჰქონდა საქართველოში პირველი ლედობის ჟამს. ამიტომაც ცდილობს ახლა დაბრუნებას. ჯერ კიდევ ბენდუქიძესთან ერთად ფიგურირებდა სანდრას სახელი ერთობლივ ბიზნეს-წამოწყებებში. სანდრას მამა საქართველოში ჰოლანდიური ყვავილების ბიზნესში იყო ჩართული. ყველა საზოგადოებრივი აქტივობა კი შემოწირული ფულით კეთდებოდა ისევე, როგორც 3 მილიონით გაკეთდა რადიო „მუზა“, რომელიც მისი წასვლის შემდეგ დაიხურა. ასე რომ, არ იდარდოთ, მიშა კარგადაა, არც მისი ოჯახი განიცდის ხელმოკლეობას, ისინი შესანიშნავად ითვისებენ საქართველოდან გატანილ მილიარდებს!

●

მიხო სააკაშვილისთვის და მისი ბანდიტური დაჯგუფებისთვის ფულის კეთება არახალია. მათ ეს სარფიანი საქმე ჯერ კიდევ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში დაიწყეს, როცა ძალაუფლების მითვისებაზე დაიწყეს ფიქრი. სწორედ იმ პერიოდში იჯდა მიხო იუსტიციის მინისტრად, ხოლო მეორე მიხო (მაჭავარიანი) – შემოსავლების მინისტრად. ასევე, ამ ბანდიტური დაჟგუფების ხელში იყო ენერგეტიკა – დენიც გვქონდა, მაზუთიც, გაზიც, მაგრამ ჰყიდდნენ თურქეთში, საქართველო კი ჩაბნელებული იყო. ამ შემთხვევაში მიხო იჭერდა ორ კურდღელს: პირველი – აკეთებდა ფულს, მეორე – ამწარებდა და ამხედრებდა ხალხს შევარდნაძის ხელისუფლების წინააღმდეგ, რაც მშვენივრად გამოუვიდა კიდეც. აი, რას ამბობს **მაია ნიკოლეიშვილი** ჩვენთან საუბარში, რომელიც 2001-2003 წლებში გახლდათ საქართველოს ეროვნული ექსპერტიზის ბიუროს დირექტორი:

„თუ ვინმეს ჰგონია, რომ ამათ რევოლუციისთვის მზადება 2003 წელს დაიწყეს, ძალიან ცდება. ესენი ბრძოლას იწყებდნენ ორ ფრონტზე, ერთი მხრივ წარმატების მოპოვებას ცდილობდნენ პიარის თვალსაზრისით, მეორე მხრივ – ცდილობენ, საწარმოები მოემზადებინათ ხელში ჩასაგდებად. იწყებდნენ ძალიან მიზანმიმართულად, ძალიან ჭკვიანურად. გაიხსენეთ, ვანო მერაბიშვილი რომელი ორგანიზაციის ხელმძღვანელი იყო? მიწის მესაკუთრეთა ფონდს ხელმძღვანელობდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ხდებოდა მიწის რესურსების ფაქტობრივი ინვენტარიზაცია. ძალიან ლამაზი სათაურის ქვეშ ხდება მიწების აღრიცხვა სულ სხვა მხრიდან, ვიდრე ამას სახელმწიფო გააკეთებდა. მაშინ სახელმწიფო ინსტიტუტები სერიოზულად იყო მოშლილი და აშკარად ჩანდა, რომ ეს კეთდებოდა ხელოვნურად. ამ დროს ექსპერტიზის ეროვნულ ცენტრში იწყება სერიოზული კვლევები. მე არ ვიცი, საიდან, როგორ და რანაირად წამოვიდა ეს ინიციატივა. ჩვენი ეგიდით მაშინ ტარდებოდა რევიზიები და საბუღალტრო-ეკონომიკური ექსპერტიზა. სხვათა შორის, ძალიან ძლიერი კადრები გვყავდა. 64 ჰიდროელექტროსადგურისა და ჰესის რევიზია დაგვავალეს. უნდა შეგვესწავლა სემეკის ტარიფების სისწორე, თბილგაზის მუშაობა, საქტრანსგაზის მუშაობა და ასე შემდეგ. ასევე უნდა გაგვერკვია, რა კავშირები არსებობდა. მაშინ საქართველოში შემოდიოდა უზარმაზარი თანხები. მოდით, ეს ყველაფერი გავმიჯნოთ და შევარდნაძეს ნუ ავკიდებთ მთელ დანაშაულს. ეს გავაკეთოთ იმიტომ კი არა, რომ მე შევარდნაძის ადვოკატი ვარ, სამწუხაროდ, რეალობა სულ სხვანაირია. მე არ ვიცი, ვინ გადაწყვიტა ზუსტად იმ ადგილების შემოწმება, სადაც მუშაობდა „ნაციონალური“ ელიტა, მაგრამ ფაქტია, ბოლოს შევარდნაძე შეაჩერეს. მან თვითონ გამოსცა ბრძანებულება, რომ შემოწმებები შეწყვეტილიყო. არადა, ჩვენ თითქმის ბოლომდე გვქონდა საქმე მიყვანილი, ფაქტობრივად ამოიყარა ამათი სქემები, თუ რას აკეთებდნენ საქართველოს ენერგეტიკაში. ეს არის 2003 წლის 10 ივლისი და აგვისტოში მე სამსახურს ვტოვებ, იუსტიციის მაშინდელი მინისტრი, როლანდ გილიგაშვილი მათავისუფლებს ბრძანებით. ამ დროს რევოლუციაც უკვე კარზეა მომდგარი. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მე უკვე ვწერ საბოლოო დასკვნას, რომელიც უნდა გავიდეს მთავრობის სხდომაზე. მიწევს პრემიერ-მინისტრ ავთო ჯორბენაძესთან შეხვედრა, რომელიც, როგორც მერე ვნახეთ, სააკაშვილის მხარეს მუშაობდა და არა შევარდნაძის მხარეს. ჩვენი საუბარი შედგა მის კაბინეტში და იწყებს ასე: მაია, ექიმები ნიჭიერი ხალხი ვართ, მაინტერესებს, ვინ დაადგა თავი ამ ყველაფერს, ვინ გამოიძია ენერგეტიკის სფერო? მაშინვე მივხვდი, რომ ის ეძებდა იმ „მოზგს“, რომელმაც ყველაფერი ზედმიწევნით გამოიძია და რომელსაც მე არ ვაჩენდი. იყო ერთი უჭკვიანესი ადამიანი, მალხაზ თოფურია, მაგრამ საბოლოო დასკვნა დავდე მე. რომ არ ყოფილიყო ვინმეზე ზეწოლა, ვითხოვდი, ყოველი კვირის ბოლოს დადებულიყო შუალედური დასკვნა. მე ვუთხარი ჯორბენაძეს, გამოძიების ყოველკვირეული აღრიცხვა მაქვს-მეთქი. მაია, ამ ყველაფერს მომიტანო. ბატონო ავთო, ვიცი, ვინც ინფორმაციას ფლობს, მისია ძალაუფლებაც, მაგრამ ვერ მოგიტანთ-მეთქი. მიმეორებს, მაია, შენ ხვალ ამას მომიტანო. გამოვდივარ კაბინეტიდან და არ მიმაქვს. აშკარად ვგრძნობდი, რაღაც ისე არ იყო, ძალიან სერიოზული ბრძოლა მიდიოდა...

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

(დასასრული იქნება)

ირაკლი ღარიბაშვილი – 301-ე არაგველი!



**„კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი!“**

ხალხური

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის წინა კვირას სამრეკლოს ზარივით რეკდა ირაკლი ღარიბაშვილის შემოძახება: „გამარჯობათ ქართველებო, მე დავბრუნდი!“. ამ შემოძახების ექომ კიდით კიდემდე შეძრა სრულიად საქართველო.

ირაკლი, ჩვენო იმედო, ქართველობამ სააღდგომო სუფრასავით გადაგიშალა თავისი გული, უფალს შენი კარგად ყოფნა და გამარჯვება შესთხოვა.

ისმინე უფალო, უჭირველად გვიმყოფე 301-ე არაგველი ირაკლი ღარიბაშვილი. ირაკლი, შენს დაბრუნებას გაუმარჯოს! შენი ნაწარმართევი ყოველი საქმე თაობიდან თაობას გადაეცემა. ცნობილმა ეთნოლოგმა და ეთნო მწერალმა, თავისი ქვეყნის დიდმა მოზარემ, იაკობ აბბა არაბულმა შენი ვაჟკაცობის სახელი პრესის ფურცლებზე დროშასავით ფრიალებს და კაი ყმა გქვია.

მამულთან ფიცვერცხლნაჭამი ხარ. მართალია, აფშინასავით გოგოთურთან საძმაკაცო სმურში შენი ხანჯრიდან ვერცხლი არ ჩაგითლია, მაგრამ სამშობლოსათვის შესაწირად გამზადებული გული კი ჩათალე სამეგობრო ჯამში.

შენი ადგილის დედა აქ არის ალაზნის პირზე, ისტორიულ სოფელ რუისპირში, ბეწინათ უბანში. ბეწინა ხევსურთ სახელია. სხვაგან, მთის ვერც ერთ სოფელში ამ სახელს ვერ შეხვდებით.

ბეწინათ უბანი რუისპირში უხსოვარი დროიდან დუხჭირ ცხოვრებას გამორიდებულმა ხევსურებმა დააარსეს თურმე თავიანთ სამკვიდროდ. შენი ადგილის დედაც სწორედ ეს უბანია. როგორც ძირძველი რუისპირელები ამბობენ, უკეთესი საცხოვრისის ძებნაში აქედან დედოფლისწყაროში ჩასახლებულან. შენთვის დედასამშობლო იქიდან იწყება. იქ დაიბადე, იქ აიდგი ფეხი, პირველად იქ წარმოსთქვი სიტყვა „დედა“. დედამ გაზიარა სამშობლო ქვეყნის სიყვარულს. დაილოცოს მისი ძუძუს მადლი. ღმერთად საცნობია ირაკლი ღარიბაშვილის დედა, რამეთუ მან აღზარდა ვაჟი მტრის გამჯავრებელი და მამულის მოსიქადულე შვილი.

წინაპართა სისხლის ყივილი თუ მოგწვდა, პირიქითა ხევსურეთში, შატილში რომ ახვედი და მაღალმთიანი არქიტექტურის გასაოცარი ძეგლი მუცო ჩამონგრევას და სრულ განადგურებას გადაარჩინე, არხოტის გზა გაიყვანე. მადლიერების ნიშნად შატილიონთ „პატარა კახი“ შეგარქვეს.

ირაკლი, როცა შენს მამულიშვილურ საქმეებს ვაცნობიერებ, არაგველთა სისხლით აბრიალებული კრწანისის სუნთქვა მესმის: თუ გაუჭირდა სამშობლოს ლაშარის გორზე შავდგებით, ვერ გაიხარებს მტერი ჩვენზედა, არც როდის გაუხარნია.

ხმალშეუხსნელი მეფე ერეკლეს მეწინავე სპაში გხედავ. ქვეყნის ჭირ-ვარამის მძიმე ტვირთი მხრებით გიჭირავს. არ შედრკე, არ ჩაიმუხლო! „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი“. კრწანისელთ გაკვალულ გზაზე დგახარ, ტაძრისკენ სავალ გზაზე მტკიცედ მიაბიჯებ, მხარს შენს სახელზე მლოცველი ქართველობა გიმშვენებს.

მწამს, უფალი სამშობლოს საკურთხეველთან გამარჯვებულს მიგიყვანს. 301-ე არაგველო, სულ მუდამ გაგმარჯვებიყოს მტერზედა. იცოცხლე, იმზეგრძელე ქართველთ საიმედოდ.

ლამარა ანთაური-იანვარაშვილი
არაგველთა შთამომავალი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, დამსახურებული მასწავლებელი

ქ. თელავი
ტელ: 599 33 23 235

ლაუნჯი „ესკობარი“

ლაუნჯი „ესკობარი“ ეს არის ადგილი, რომელიც მრავალფეროვანი პროგრამით, უგემრიელესი კერძებითა და ბარმენის მიერ შექმნილი ხელოვნების ნიმუშებით ანებივრებს სტუმრებს. ცოცხალი მუსიკა, DJ, კარაოკე, ბენდი თუ სოლო შემსრულებლები, უამრავი გათამაშება და საჩუქრები, ეს ჩვენი ყოველდღიურობის შემადგენელი ნაწილია. ორშაბათიდან – ორშაბათამდე, დილის 10:00 საათიდან – გამთენიის 04:00 საათამდე, ესკობარი მზადაა აქციოს თქვენი დღე დღესასწაულად. ლაუნჯი „ესკობარი“, მისი უმშვენიერესი ტერასით, მზად არის უმასპინძლოს თქვენს კორპორატიულ საღამოებს, პრეზენტაციებსა თუ სხვადასხვა ღონისძიებებს.

მისამართი: თბილისი,
ავლიპ ზურაბაშვილის N 13-15
ტელეფონი: 555 607 999

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983